

ლიტერატურული გზეუტი

№ 7 7-20 აგვისტო 2009

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი



კოეზია

მანანა
ჩიტიშვილი:
„ვარ
გალუმპული
მარტის ცივი
წვიმების
თქორით...“

IV-V

ინტერვიუ

კოტე
ჯანდირი:
„ედგარ პოს
პროზამ
პირველად
მაგრძნობინა
სტილის მავია.“

XII-XIII

უბის ნიგნილან

მამუკა
ნიკლაური:
„თითქოს მე
გადავიკვნიტე
ფეხი და
თავისუფლების
სისხლიან
დროშასავით
ავაფრიალე იგი!“

II-III

გუსსენებუ

ვასუშტი
კოტეტიშვილი:
„სიკვდილი დედა
ყოფილა,
სიცოცხლე —
დედინაცვალი.“

XI



მგელი

რმცს თავისუფლებასა და გაუტყებლობაზე ვფიქრობ, ყოველთვის მგელზე ნადირობის ამბავი მახსენდება.

ამ ამბავს ცოტა შორიდან დავიწყებ. გერმანია — საბჭოთა კავშირის ომი რომ დამთავრდა, ჩემს სოფელში, ჯარიდან დაბრუნდა, მშობლები გარდაცვლილიყვნენ, სახლს მინის ზვავი დასცემოდა და დაენგრია. ერთ დროს კარგი, გამართული ოჯახის შვილი ბოგანოდ დარჩა... ისიც ადგა და ერთი მიტოვებული სამხედრო ყაზარმის ჭერქვეშ შესახლდა... იშოვა სახარაზო ხელსაწყოები და ფეხსაცმელების შემკეთებლად დაიწყო მუშაობა.

ეს ხეიბარი კაცი ლავაზიანთ გიგო იყო. ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია მასავით გაუტყებელი და ბედისწერასთან შეუპოვრად მებრძოლი კაცი. იგი მორებს ჭრიდა ციცაბო ფერდობებზე და სამანქანო გზებისკენ აცურებდა; კლდეებს შლიდა სამშენებლო ქვის დასამზადებლად; ნადირობდა; ხევსურეთში გადადიოდა ქობების ასაშენებლად...

ერთი სიტყვით, ძალიან მაგარი კაცი იყო. უფრო მოსმენა უყვარდა, ვიდრე — ლაპარაკი. მაშინ ჯარიდან ჩამოსულები ათას ტყუილს და მართალს ჰყვებოდნენ, ის კი დუმდა. არ უყვარდა თავისი თავგადასავლის თხრობა. ომის გახსენება არ სიამოვნებდა — ჯოჯოხეთი იყო, მაგის პატრონის დედა ვატარეო, — იტყობდა ხოლმე ისეთი დაძაბვით, თითქოს რკინის კეტით ქვას იღებს კლდის შიბიდან. სხვებისგან გამეგონა, ნადმისგან დაფლეთილი ფეხი უნარკოზოდ მოჭრეს და კონტუზიაც იმის შემდეგ დაემართაო. წარმოვიდგენდი ხოლმე ძვალზე ხერხის ჭრიალს და სული მეხუთებოდა...

...იმ წელს საშუალო სკოლა დავამთავრე. უნივერსიტეტში ვერ ჩავირიცხე. — ახლა რა უნდა აკეთო? — მკითხა გიგომ.

— რა ვიცი, ძია გიგო, ვიმეცადინებ და მომავალ წელს კიდევ ვცდი...

— მომავალ წლამდე დიდი დროა, წიგნებს ნუ მოეკვლევი, — ირონიულად შემომძინა თავისი ალალი ღიმილით გიგომ, — მოდი შევამხანაგდეთ, ებრაელმა ფენიელამ კარგი ხაფანგები მომიტანა, კაი სანადირო აგილებიც ვიცი და ვინადიროთ მელაზე და კვერნაზე, იქნებ მგელიც დავიჭიროთ! ნადირის ტყავი ფენიელას ჩავაბაროთ, კარგ ფასს მოგცემო, შემპირდა.

ფულს დავხარბდი-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მაინც დავთანხმდი გიგოს. უარის თქმა შემეხატრა, თანაც ძალიან მიყვარდა ტყეში და მთებში სიარული.

გიგომ ახალთახალი ხაფანგები მიჩვენა: მელის, კვერნის, მგლის... სამგლე ხაფანგებს წმინდა ფოლადის დაკბილული შვილები ჰქონდა.

— ამათ დასაგებად აუცილებლად ორი კაცია საჭირო, — თქვა მან.

მოკლედ, შევთანხმდით და ნოემბრის ბოლოს, როცა ნადირს ბენვი გაუმავრდა, საქმეს შევუდექით. გიგომ მასწავლა ხაფანგების დაგების მთელი ხელოვნება — ხაფანგის ჩასადგმელი ადგილის ამორჩევა, შენიღბვა, საჩვენის დაყრა, ხაფანგის ქონით გაპოხვა.

— ყინვაში ლითონი წივის და ნადირს აფრთხობს, ამიტომ ქონის ნასმა აუცილებელია, — მითხრა მან.

ძირითადად მელას და კვერნას ვიჭერდით, რამდენიმე ტყის კატაც დავიჭირეთ...

სხვადასხვა დროის ჩანაწერები

მამუკა ნიკლაური

მგელი ვერ გავაბოთ! ჩვენგან დაყრილ საჩვენს — ხორცსა და ძვლებს — არ ეკარებოდა, ხაფანგებს შორიახლოს უტრიალებდა.

გიგო მგელზე, როგორც ღირსეულ მეგობარზე ისე ლაპარაკობდა, ღიმილით მეუბნებოდა: — მგელი სხვა ვაჟია; ეგ ჩვენ არ დაგვეჭყერინება, ჩვენ ჩვენსას მანაც ვეცადოთ, იქნებ გავაბათო...

ერთ დილასაც სამგლე ხაფანგებს მივაკითხეთ და ვნახეთ, რომ მგელი გაბმულიყო, მაგრამ ჯაჭვი, რითაც ხაფანგი იყო დაბმული, გაენწყვიტა და ხაფანგი ჯაჭვის ნაწყვეტიანად თან წაეღო. სისხლი მისდევდა მგლის ნაკვალევს. ცოტაზე მივყვივით და გამოვბრუნდით. გიგომ თქვა: — აზრი არა აქვს კვალის მიყოლას, მაგ მგელს უკვე მთა ექნება გადავლილი, ახლოს არ გაჩერდებოდაო...

უკან დაბრუნებულნი სულ მგელზე ვლაპარაკობდით და ეს დანახვით ნათქვამი დამამახსოვრდა გიგოსი: — საწყალი მგელი, იმ ხაფანგს ვერ მოიცლებს, ჭრილობას ყინვა დაუხარავს და მაინც მოკვდებაო...

მეორედაც გავაბოთ მგელი, მაგრამ ვერც ამჯერად დავიჭირეთ. ახლა მთლად დაშლილ-დაღენილი ხაფანგი დაგვხვდა. ცალ-ცალკე ეყარა შვილები, ხაფანგის მთვარე, ენა... დაეღენა და წასულიყო. თოვლზე სისხლი ბრწყინავდა.

— რა ძალა აქვს ამ ტიალს! — თითქოს ვაუკაცობა შეუქრო, ისე თქვა გიგომ.

ტყავების ნასალეხად მოსულ ფენიელას ვუსაყვედურეთ: — ეს რა ხაფანგებია?! ერთხელ ჯაჭვი განწყვიტა მგელმა, მეორედ კი სულ დაშალა და დაღენაო.

შემდგომ ამოსვლაზე ფენიელამ ახალი ხაფანგი ამოგვიტანა. — ინგლისურიაო, — თქვა მან, ამას ვერა ნადირი ვერ წაუფა, მთავარია, მაგარ ხეზე ან კლდის შიბში ღრმად ჩასობილ სამსჭვალზე მიაბათო.

ერთ ადგილზე გეყავდა მგელი მოჩვეული — ძვლებს ვუყრდით, ხაფანგს კი არ ვუგებდით და ის ინგლისური ხაფანგი იქ დავუგეთ. მგელი უკვე გაბრწყინებული იყო, ხაფანგს არ ელოდა და აუცილებლად უნდა გაბმულიყო.

მეორე დილას ჯერ ისევ ბნელოდა, გიგომ რომ გამომიარა. მხარზე ოცდაოთხკალიბრიანი თოფი ეკიდა, წელზე კი — ომიდან ჩამოყოლილი მათარა.

— ეგ რაღა გინდა-მეთქი, — მივუთითე მათარაზე.

— დაგვეჭირდება, — ორაზროვნად შემომძინა, — შენ ცოტა კაკალი და მსხლის ჩირი ჩაიყარე ვიბეში და წავიდეთ.

შუა იანვრის დილის ყინვა წვევდა ყველაფერს, მაგრამ ჩვენ ხაფანგში გაბმული მგელი გველოდა და ყინვას ვერ ვგრძობდით. გიგო დიდ ნაბიჯებს ადგამდა, პროთეზე ფეხსაცმელი არ ეცვა და ხის ფეხს ჯოხივით იბჯენდა. ლაპარაკით ათას რამეზე ვლაპარაკობდით, ფიქრით კი — მხოლოდ მგელზე ვფიქრობდით და მივდიოდით, მივფრინავდით.

მივუახლოვდით იმ ადგილს. სადაცაა უნდა დავხედოთ ჩვენს ხაფანგებს, მაგრამ ცუდი ნიშანია — იმ მიდამოში ჩამიჩუმი არ ისმის... მგელი თუ გაბმულია, იქაურობას უნდა სძრავდეს... მივედით... დავხედე და სისხლით გადაღებულ ხაფანგში ნადირის ფეხი დავინახე — გადაჭრილი თუ მოგლეჯილი წინა ფეხი.

— საკუთარი ფეხი გაუკვენეთია ამ ტიალს, — თქვა გიგომ.

— ფეხი გადაუკვენეთია?!

— ჰო, რო იბრძოლა და ვერაფერს გახდა, თანაც რიჟარაჟმა რომ მოაღწია, ადგა და ფეხი გადაიკვნიტა!

მე წარმოვიდგინე ფეხის გადასაკვენეტად ჩაღუნული მგელი, თითქოს ძვლების საშინელი ჭრიალიც მომესმა, თითქოს კბილებში მოგდებული ძარღვებიც დავინახე და ცივმა ჟრუანტელმა დამიარა.

გიგო დუმდა და მივხედა, რომ იგი იმ დღეს დაუბრუნდა, უნარკოზოდ რომ მოაჭრეს დაფლეთილი ფეხი... მაგრამ გიგო, ალბათ, თოკით ყავდათ გაკავებული და ფეხსაც სხვები აჭრიდნენ... ეს კი... ეს მგელი კი...

ხაფანგის მახლობლად თოვლზე ჩამ-

ოვსხედით.

— ხო გითხარი, მგელი ჩვენ არ დაგვეჭყერინება — მეთქი, მგელი სხვა ვაჟია — გაჭირების, ყინვის, სიფრთხილის, სიმამაცის, თავისუფლების შვილია.

სახეზე შევხედე და გამიკვირდა — მომეჩვენა, რომ მგლის გაქცევა უხაროდა გიგოს...

მეც რაღაც მიხაროდა — თითქოს მე გადავიკვნიტე ფეხი და თავისუფლების სისხლიან დროშასავით ავაფრიალე იგი! არ ვიცი, არსებობს თუ არა პათეტიკური ფიქრი, მაგრამ იმ წუთს მე პათეტიკურად ვფიქრობდი: ეს ჩვენი მთები, კლდეები და არაგვია, ეს მგელიც ჩვენი მთების შვილი და ჩვენი შვილია. ეს მგელი ჩვენმა მიწამ დაბადა და უპირველეს ყოვლისა, დაუმორჩილებლობა და გაჭირების ატანა ასწავლა... მიხაროდა, რომ მგელმა დაგვამარცხა მე და გიგო, დაამარცხა ინგლისური ხაფანგის კონსტრუქტორები, დაამარცხა ბენვეულის ვაჭარი ფენიელა, დაამარცხა ეშმაკობა და გაპოხილი რკინა...

სხვამ კი არა, ეს ჩვენმა მგელმა დაგვამარცხა, ჩვენმა მთებმა დაგვამარცხეს!

მერე გიგომ ხმამაღლა, საზეიმო სიცილით გაიცინა, მათარას თავი მოხსნა და თქვა: — ეს არაყი ჩვენი გამარჯვების სათქმელად წამოვიღე, მაგრამ მგლის სადღეგრძელო უნდა ვთქვა, კაი ვაჟია, ეკუთვნის...

გაარხილებულ თოვლზე, არყისა და ქადის ნაჭრების გვერდით, კაკალი და მსხლის ჩირი დავყარე, ჯერ გიგომ მოიყუდა ჭურჭელი, მერე მე გადმომანოდა. და ასე, ხან ის სვამდა და ხან — მე. სადღეგრძელოებს არ ვამბობდით. აბა, რა უნდა გვეთქვა? ლაპარაკით კი სულ მგელზე და მგლის შეუდრეკელ სულზე ვლაპარაკობდით... მგელზე, რომელმაც თავისუფლების სიმბოლოსავით დატოვა საკუთარი კბილებით გადაკვეთილი საკუთარი ფეხი!

ამასობაში ზამთრის მზეც დაეფინა მწვერვალს და სისხლივით დაიღვარა თოვლიან ქედებზე...

გამარჯვებული მგელი კი სადღაც კლდის ეხში იწვა და ტკივილებით დაღრუბული მზერით გაჰყურებდა მშობლიურ მთებს.

პატარა ხალხი

ისმ უმძაფრესი ბრძოლება კავკასიაში. ისევ ებრძვის დიდი რუსეთი კავკასიელ პატარა ხალხებს. მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები გადმოისცემენ, რომ კრემლმა ისევ აინყვიტა აპუერები თავისი „ავლანური რეცეპტით“ და არაფრად აგდებს პატარა ხალხების უფლებებს — იყენენ თავისუფალნი, თავისი ნების მიხედვით განაგონ თავისი ცხოვრება.

კავკასიური ომის ახალი ტალღა რუსეთმა ამ ოციოდ წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება — რუსების ახალ-ახალი სამხედრო შენაერთები მიემართებიან კავ-



კასიისაკენ. ომის დასაწყისში ჩვენთვის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა გააფრთხილა რუსეთის ხელმძღვანელობა: — ნუ შემოხვალთ, თორემ თქვენი ჯარისკაცების კუბოების შავი ფლოტილია გაცურდება აქედანო. არ დაუჯერეს. მახსოვს, რუსეთის მაშინდელმა სამხედრო მინისტრმა თხუთმეტი წუთი მოითხოვა თავისი ხელისუფლებისგან — ზუსტად თხუთმეტ წუთში გავანადგურებ „ამბოხებულებსო“.

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ. ისევ იღვრება სისხლი — იხოცებიან თავისი მინაწყლის დამცველი ქართველები, ჩეჩნები, ქისტები, დაღესტნელები; იხოცებიან „დემოკრატიული რუსეთის“ ბელადების მიერ შემოგზავნილი უბედური ჯარისკაცები. სიკვდილისთვის ყველა ცოდვავა, მაგრამ კავკასიელები სამართლიან ტყვიას ისვრიან... კავკასიელები მომხდურის ტყვიით ეცემიან თავის სოფლებში, თავის ქალაქებში, თავის ტყეებში, თავისი მდინარეების ნაპირებზე, თავისი მთების ჩრდილში და გაუტყებელი მეომრების სიკვდილით კვდებიან... რუსები კი სხვის მიწაზე კვდებიან და მათ სიკვდილს სახელად დამპყრობლის სიკვდილი ჰქვია.

კავკასიელები უფრო „ლმობიერი სიკვდილით“ კვდებიან, რადგან ბრძოლის დროს სიკვდილზე კი არა, თავისუფალ სამშობლოზე ფიქრობენ, მტრისადმი მტრულად დახვედრის დაუფანგავი ტრადიცია ალანთებს მათ სულს და არა იმპერიული ფსიქოლოგიური სნეულება. პატარა ხალხებისათვის ბრძოლა აუცილებლობაა, ბედისწერაა. ხომ ებრძვიან არწივები გრიგალებს, ხომ არ თმობენ ვეფხვები ჯუნგლებს! და ისინიც იბრძვიან, რადგან სხვა ალტერნატივა არ არსებობს — თუ არ იბრძოლე, ღირსეულად ვერ იცოცხლებ, უღირსი სიცოცხლე კი თვით სიკვდილზე უარესია, რადგან „ვაჟკაცი სადაც შერცხვება, იმის სამარე იქ არა“.

...და როცა საქართველოში ზარი რეკს; როცა ჩეჩნეთში და ინგუშეთში ზარი რეკს; როცა დაღესტანში ზარი რეკს, არ იკითხო: — ვისთვის რეკს ზარი?

ზარი რეკს შენთვის! ზარი პროტობერთა ჩამოქველვებს ეძახის: დამპყრობელი უნდა განიდევნოს კავკასიიდან!

...და ბოლოს, წასაკითხად მინდა შემოგთავაზოთ ჩემი მწერლის ირყი მაგენის ერთი დიდებული მოთხრობა „პატარა ხალხი“. ეს მოთხრობა ქართულად რევაზ ინანიშვილმა თარგმნა მისთვის დამახასიათებელი „დაუშრობელი“ ენით. ასე რომ, ჩემგან წამოწყებულ საუბარს ირყი მაგენი გააგრძელებს. მოთხრობა მცირე ზომისაა და მას აქ მთლიანად გადმოვწერ:

„დიდმა ტამერლანმა თავისი ლაშქარი დაძრა. მთელი ნახევარი აზია უკვე მის ფეხქვეშ გმინავდა. გამარჯვებებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ორასი ათასი მეომარი დაიღუპა. უმშვენიერესი ქალაქები დაინგრა. უნაყოფიერესი ველ-მინდვრები გაუღაბნოვდა. მაგრამ ტამერლანი ფიქრობდა, რომ გამარჯვებები ამ მსხვერპლად ღირდა. ქვეყნიერება უფრო და უფრო მიმზიდველად ეჩვენებოდა. უფრო და უფრო მეტ რაღაცას ჰპირდებოდა. ახლა ერთი ისლა დარჩენოდა, მაღალი მთები გადაელახა, იქ მცხოვრებნი დაემორჩილებინა. ჩამეველიყო ქვემოთ, ბარში და იქაურობაც ამოევსო თავზარდაცემულთა კივილით. მაშინ ტამერლანი თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს გასრულებულად ჩათვლიდა.

...იარეთ ფხიზლად და გაბედულად! ლაშქარი წინ წელა მიიწევდა. ყოველგვარ ჩქამს უდარილებდა. ყოველ მოსაფა-



გაზაფხულის წვიმის შემდეგ

ბრწყინდება არე ღვთიური ნათლით,
განქრა ღრუბელი — ლევიათანი
და იქარგება სერები ქართლის,
ვით ღვთისმშობელის კაბის კალთანი.

მიწყდა წვეთების ჩუმი ქილიკიც,
ცა არის ლურჯი და მშვიდზე მშვიდი
და ცისარტყელა —
ქრისტეს ბილიკი,
მწვერვალებიდან მწვერვალზე მიდის.

არაგველავის მოწოდება

ხმლებით ატეხილ
ქარით ვშრებოდით,
წყლულს ცხელი სისხლი
გვბანდა,
ერთი მტრის ჩეხვას
ვერა ვრჩებოდით,
ზღურბლთან
მეორე ჩანდა.

მუხლთ მაინც
არვის არ ვექნებოდით,
ღვთის და
მამულის გარდა,
ჩვენ სიკვდილითაც
ისე ვკვდებოდით,
რომ
უკვდავებას ჰგავდა.

ერთი სიკვდილი რას მოგკლავს

ეგრე რად სტირი, გვირილავ,
ცრემლით რად ითხრი თვალებსა,
გითხარი, ნიავს უყვარხარ,
თავს იმად დაგტრიალებსა.
ხომ ნახე, ლურჯმა პეპელამ
რა ყოფით მოგიალერსა.
ცამ მარგალიტი გაპკურა,
მზე გიკოცნიდა თვალებსა.
მეც შენებრ მიჯნურს ვნატრულობ, —
ლალსა, ფერმკერთომიარესა,
ამოვა ცისკრის ვარსკვლავი,
ამოანათებს არესა.
ამოიყოლებს სურვილსა
რიჟრაჟზე მოანკარესა,
საკინძის ღიღებს შემისხნის
მარცხენა ძუძუს მხარესა.
უცხოდამც ჩამეტოლება,
უცხო სურვილით ჩამლევას,
ვერც გათენებას შევიტყობთ,
ვერც ვიგუმანებთ მთვარესა,
ერთი სიკვდილი რას მოგკლავს
მის მკლავზე მწოლიარესა.

შინდი შემოდგომის ტყავი

ქარის მკლავებში
ტყე ქარვისფერ სამოსელს იხდის,
ცა არის მკრთალი
და მზის სხივიც უცხოდ ამოა,
და იბერიის ძველ მიწაზე
დაღვრილი სისხლი
შინდის ტოტებზე
მოცახცახე ფესვებს ამოაქვთ.

დილის თბილ მზეში
შაშვს გალობა როგორ მობეზრდეს,
ჩუმი ალერსი შეაგებეს
მნათობს იფნებმა...
და ტყისპირებში,
ულამაზეს შინდის ტოტებზე,
იბერიელთა
უძველესი სისხლი მწიფდება.

ქსნის ხევა

მზე ესწრაფება ჩასვლასა,
მთვარე ამოსვლას გვიანობს,
გალაღდი, მტერო,
ქსნის ხევე
სისხლის ღრუბლები დიანო,
გულს ჯავრით დამინაყრებენ,
ცრემლს წვიმად დამაყრიანო.



მანანა ჩიტშვილი

აპრილი მოდის

მოდის აპრილი, —
დრო საოცარ ხმათა და ფერთა,
შაშვის გალობა შემსხვრევა
ვნებით ცის კიდეც,
კარს შემოგიმტვრევს სიყვარული
შროშნებთან ერთად
და ასაკს შენსას
სულ ფეხებზე ჩამოიკიდებს.

ნუ გაიხსენებ ჩავილ დღეებს
დარდით და სევდით,
მიენდე ილბალს
და განგების ნებას ადროვე,
ეგ სიყვარული,
როგორც ბოლო სიმღერა გედის,
სულ სხვა სამყაროს
სხვა ნაპირთან მიგაახლოვებს.

ინთება გული,
გათოშილი ყინვით და სეტყვით,
რომ არ ელოდი,
იმნაირი სინაზით გალობს
და მუხლმოდრეკით
უზენაესს მადლობას ეტყვი,
უკანასკნელი,
ღვთაებრივი საჩუქრის გამო.

მოდგა აპრილი, —
დრო საოცარ ხმათა და ფერთა,
შაშვის გალობა შემსხვრევა
ვნებით ცის კიდეც,
კარს შემოგიმტვრევს სიყვარული
შროშნებთან ერთად
და ასაკს შენსას
სულ ფეხებზე ჩამოიკიდებს.

გურამ დოჩანაშვილთან საუბრის შემდეგ

არჩვი ვარ,
სიტყვებით მობალახე,
ბაგე მზის კოცნით მაქვს ანაცერი...
უფალო,
შენა ხარ მოკარნახე,
მე მხოლოდ ცოდვილი გადამწერი.

სული ვერც ლექსებში ჩავატიე
და არც გრძნობა შემრჩა გაუთოში,
ღმერთო,
სითამამე მაპატიე
სიტყვის ამ ღვთაებრივ საუფლოში.

თენდება

თენდება.
ცაში იშლება
ნისლის ფრთათეთრი მარაო,
სუმბულმა მითხრა: “მიყვარხარ“,
გუგულისკაბამ — “არაო!“
გმადლობთ, გამჩენო, თუ ორნივ
უფალმა დაიფარაო.

უკვდავება მომენატრა

რა შორიშორს იარები,
ღრუბელს გალავნებდა მაკრავ,
შენი ბაგის ფიალებით
ბადაგის სმა მომენატრა.

რომელ ბროლის კოშკში გრთავენ,
ხატურით ვინა გმოსავს,
ნეტავ ვისთვის ანიავებ
მაგ წამნამთა მარაოსა.

საით მიაქვს შენი ტივი
დროს,
ვინ გიხსნის უბე-კალთას,
ან ეგ მკერდი თეთრ მტრედით
ვის ხელებში აფრთხილდა.

ნულარც შორით იარები,
ნურც გალავნად ღრუბელს მაკრავ,
შენი ბაგის ფიალებით
უკვდავება მომენატრა.

ლაშარში

შენთან მოვედი,
ლაშარის ხევისბერო
და მუხლმოყრილი გევედრები:
ნუ დამინუნებ
სამსხვერპლო კურატს,
ამინთე
თაფლის სამი სანთელი
და ვერცხლის თასით
სიყვარული
დამიმწყალობნე.

ილაპარაკონ ამ გვირილაზე

ჩვენი შეხვედრა სასწაულს ჰგავდა,
ყველა ზღაპარი ერთად გახუნდა...
შიშით ვუცდიდით კარსმოდგარ ზამთარს,
მაგრამ უეცრად გამოზაფხულდა.

ტორს გვცემდა ცივი ქარების რემა,
რამდენი ფიქრი ჩუმად დამინდა...
ჟამმა ისეთი სიავით გვგვემა,
გულს ალტაცება გადაავიწყდა.

და წუთისოფლის ზაკვით ვნებულნი
გზა-გზა ნამალავ ცრემლებს ვაფენდით,
და ერთხელ, მწუხრით დაღამებულნი,
აბრიალებულ ცეცხლში გავთენდით.

უფლისთვის არც რა იყო მალული,
გული მადლობის ლოცვით აივსო...
დღეს კარგად ვიცით, ეს სიყვარული
არის ბოლო და სამარადისო.

ღამის კომმარტა გაქრა ზმორება,
მოვიდა გრძნობა სულის დამხსნელად,
და ჩვენ სიკვდილშიც გვემასხვრება,
როგორ გვიყვარდა უკანასკნელად.

პირისპირ შევრჩით აპრილს ვნებთანს,
უნინ მზისა და სითბოს ნატრულნი,
ეს ვარსკვლავები ნაკვერჩხლებია,
ქრისტეს ცეცხლიდან გადმოფანტული.

ახლა თოვლისფერ გვირილებს ვუმზერთ
და ცას,
რომ იბნევს ვარსკვლავს ღილებად,
ვთხოვთ,
რომ ჩვენს შემდეგ ჩვენს სიყვარულზე
ილაპარაკონ ამ გვირილებმა.

* * *

შორიდან წყლულებს ველარ გიმთელებ,
შენ ვის იღბალზე მოთქვამ, არლანო?
მოვალ და ისეთ დღეს გაგიტენებ,
ველარაფერმა ვერ დააღამოს.

გიაბობ, დარდის რა ყანა ვცელებ,
რომ მხოლოდ ქარის მახსოვს ალერსი
და შენს თვალებში ჩარჩენილ ცრემლებს
ამოვკრეფ ბაგით უმზურვალესით.

მაინც ათასჯერ გაპოცვა

მე ახლა რით გაგაოცო,
მარტი ყინულს ალბობს...
ათასჯერ უნდა გაკოცო,
ათიათასჯერ გნახო.

მომდევს ნიაკი ფოფინა,
თითქო არსაით მიდის,
განა როდისმე ვყოფილვარ
გუბედ მდგარი და მშვიდი?!

ტანთ მეცვა ზღაპრის პერანგი,
შენც რა იოლად გენდე...
გულსგარეთ არცროს ველავდი,
არცროს უცეცხლოდ ვენთე.

ჟამი, აფთრისებრ მყეფარე,
სისხლის მადენდა გუბეს,
გნოლივით შემოვფეფარე
შენს კალთასა და უბეს.

რა ვუყოთ, სხვები დალოცეს,
მე გულს მბზვინენ ლახვარს,
მაინც ათასჯერ გაკოცებ,
ათიათასჯერ გნახავ.

ამ გაზაფხულზე

ადრე მოსულხარ, შროშანო,
ადრე ჩაგიცვამს ფარჩები,
ჯერ ისევ ყინულს ლოკავენ
ლომისის მთებზე არჩვები.

ვაითუ, სუსხმა დაგაზროს
მზესა და სითბოს ნაჩვევი,
ამ გაზაფხულზე მე და შენ
უსიყვარულოდ დავჩრები.

ჯვარცმა

გეტსიმანიის მწუხარე ბინდი,
სოფელი რამდენს გევენო, გედავა
და მაინც გნამდა,
რომ ჯვარცმად ვღირდით,
გნამდა ყველაფრის მიუხედავად.

და დასთმე ჩვენთვის სული და ხორცი,
ჯვარზე გაეკარ სახელით უფლის,
ახლა ათასი იუდა გკოცნის,
მაგრამ არც ერთი ისკვნება ყულფი.

რომ ის სამყარო შენც დაბანასა

რად მოგაქვს ჩემთან გვირგვინი ეკლის,
ბედი ხომ ისეც ბევრჯერ მეფლიდა,
რას იფიქრებდი,
რომ შენი ნეკნით
ღმერთი ჩემნაირ ქალს თუ შექმნიდა.

ალმური მზის და სილბო ავაზის,
მთვარემ გრძნეული სული მომფინა,
შენთვის ვიყავი ისე ლამაზი,
როგორც არასდროს არა ვყოფილვარ.

აბრუებს არეს სურნელი ვარდის,
მზე მკერდმოლეული მინდვრებს იკონებს,
მე შენ მიყვარდი,
როგორც მწამდი,
როგორც თვითონ გამოგიგონე.

და ძველ სიმღერებს ვწერდი ხელახლა,
და ლექსად ლოცვას კრძალვით ვბედავდი,
რომ ის სამყარო შენც დაგენახა,
რომელსაც მარტო თვითონ ვხედავდი.

შენი სახელი

ვარ გალუმპული
მარტის ცივი ნვიმების თქორით,
რა დროდან გიცდი,
ჩამოგაზა ცრემლმა ყვრიმალი,
არ გენატრება საუბარი,
როს სიტყვებს შორის,
ვით ეკალთ შუა,
უნაზესი ვარდი იმაღვის.

სალამოვდება,
მოდიდდება თვალებში დარდი,
წამწამთა ტევრშიც
იდუმალად, ნელა ავდრდება,
და ეგ სახელი —
სისხლისფერად მბრწყინავი ვარდი,
ბაგეებს სწყდება
და სიზმრებში უჩინარდება.

ქსანუა

გადახსნილია წარსულის წყლული,
მამღვრევს ბოროტის ცდა და ქადილი,
მე მხოლოდ აქ ვარ ყველაზე სრული,
ყველაზე წრფელი და თან ნამდვილი.

მთებზე ჩანს ციხე, ვით ლომის ტორი,
მტრისთვის არამი სისხლის დამდენი,
მე ვიცი, რას მთხოვს ხოფა და ცხმორი
ან რას მოელის ჩემგან კაბენი.

შორით მიხმობენ მცხეთა და ხოვლე,
(იხსნება ზეცა — უფლის საყელო,)
რომ თითო ლექსი, ვით მეციხოვნე,
ყველა ციხეში ჩამოვაყენო.

დაე, აღსრულდეს განგების თქმული,
ნუ გეგონებათ, იყოს ადვილი...
მაგრამ მე აქ ვარ ყველაზე სრული,
ყველაზე წრფელი და თან ნამდვილი!

მარტი — მინდვრების იით მფერავი,
ისლის ღერები ქარმა მიკონა,
ბევრი გეტრფოდა,
მაგრამ ვერავინ
შენი ტირილი ვერ გაიგონა.

ჩუმად ჩამოგდა ბინდი მესერთან,
მთვარე ცის თაღზე დაჯდა ინახადა,
შენ ბევრს უყვარდი,
მაგრამ ვერც ერთმა
შენი სიმაღლე ვერ დაინახა.

მეჩვე თქვი

ავხედო,
ზეცა მოვხიო,
დავხედო,
მინა ჩავხარო,
ვლენო ყინულის აბჯარი,
ჩანჩქერი ავახარხარო.
ია და ვარდი ვალალო,
სადაც ეკალიც არ ხარობს,
ჩემს ტრფობით ნიავეს შემოსწყრენ —
„ჩვენი მიჯნური არ ხარო...“
მერმეც მომრიდე ბაგენი,
მერმეც თქვი:
„არ მიყვარხარო!“

ადგილის დედის მონატრება

იქ ერისთავთა
ნანამები სული მიმელის,
იქ უნდა დავრჩე
უქანასკნელ ამოკვნესამდე,
ქართლს რომ უჭირდა,
ფეხზე იდგა ამერ-იმერი
და ფშავ-ხევსურნი
შურისგების მახვილს ლესავდნენ.

ახლა ამ გზებზე
მხოლოდ ქარი დაჰქრის მოხეტე
და არც ქართული იმლებიან
ცაში დროშანი,
ღმერთო, მალალო,
უსამშობლო პოეტს მომხედე,
კვლავ მაკრეფინე გაზაფხულზე
ქსანზე შროშანი.



მზია ჩხეტიანი-მინდოდაური

ახალი ქართული სიმღერა კველავურ კილოზე

სად მიმუხთლებს ბედი, ჩემი მსლებელი,
ნისლია და გზაზე სისხლის კვალი ჩანს,
ბინდი მოვა, ნავა მატარებელი
და მოღერილ ბიჭებს ომში ნაიყვანს.
დღეს სოხუმში საქართველოს გულია,
აქ სისხლი სდის საქართველოს — სრულიად!
ქართლ-კახეთი, აფხაზეთი, გურია...
ერთია და გულის მონაწურია.
ვერ ვფარავ და ვერც ვერასდროს ვფარავდი,
მკლავს, მანვალებს სენი ესე, მარადი —
სიყვარული მისი, კუბოს კარამდი,
არსი ჩემი, სავიზიტო ბარათი.
დაღლილი ვარ, განა დახარჯული ვარ,
მაინც ცეცხლად ანთებული გული ვარ.
სანთელი ვარ, მის ხატს შეწირული ვარ,
ჩალვენილი ერთგულების სახადით.
ქართველი ვარ, ჩემგან არ ხამს ლალატი,
არც — სილაჩრე, არც — ჯალათის ხალათი!
თვით ერეკლეს ამონვდილი ხმალი ვარ,
ერთგულების ცეცხლში გამომწვარი ვარ.
აფხაზეთი ნატყვიარი გულია,
აქ სისხლი სდის საქართველოს, სრულიად!
ჩვენც აქ ვდგავართ, რაგინდ ტანჯვა გეგებევროს,
ვიბრძვით, ვინვით, სამშობლოსთვის ვირჯვებით,
ვერ დაგვჯაბნო, ბედო, ავო ბებერო,
უკვდავების ზღურბლზე მდგარი ბიჭები.

სამოკლოდ თქმული

ჯერ ისევ გვათბობს ჩვენი პლანეტა,
კვლავაც იმედით გვზრდიან დედები...
ნუ მომიხდები სამტროდ კარებთან,
ვიმეგობროთ და მტლად დაგედები.
შენ ზარდე ბაღში შენი მზის წერტილი
მე ჩემსას დავრგავ, შენსას რას უშლის!
ასე ვიხაროთ მზით და სიკეთით
შენ — შენს მხარეში,
მე — ჩემს მამულში.
ღმერთმაც გვარიდოს ტკივილ-სიმწარე,
შუღლი და მტრობა არ გვეკადრება,
ცხრა ზღვას გამოღმა მეც ვავიხარებ,
თუ ცხრა ზღვის იქით ვავიხარდება.
კაცნი ვართ...
ღმერთმა ასე ინება:
ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს,
მერე რა მოხდა?
შენ ცხრა ზღვის იქით თუ გეტკინება,
მე დავიკვნესებ ცხრა ზღვის გამოღმა.
კაცი კაცისთვის უცხო არ გახლავთ!
მეც ვარდებს გინვდი, ჯოხს არ გიღერებ
და ყველა ჰანგზე უფრო ხმამაღლა
კვლავ სამშვიდობოს ვამბობ სიმღერებს.

მესამე

ჩვენ სულს გვიმღვრევდა მუდამ მესამე!
ამ გზებსაც ისევ მესამე ურევს,
რა გვემართება, შენი კვნესა მე,
გადაბრუნებულს ვერ ხედავ ურემს?
გზა ერთი ნათობს აქ — ერთობისა!
ვიდრე წვეთ-წვეთად ჩვენს სისხლს შესვამენ.
ნუ გამიხარებ მტერს, ჩემს მოსისხარს,
მხარი მომეცი, შენი კვნესა მე!
ვერ გრძნობ, ჩვენს შორის რა გესლს თესავენ?
მამულს ხელიდან როგორ გვაცლიან?
ძმა ხარ, დაფიქრდი, შენი კვნესა მე,
რა დროს შულღია,
რა დროს ღვარძლია!

ქალშავა

ჩვეულად აღარ იცინი,
არ გაანათებ წყალ-ჭალას,
თოლ რამ ჩაგიქრო ციმციმა,
ქალშავავ, ბინდის თავშალავ?
— ჩამოიარა სიკვდილმა,
ფერდები ჩამოათავა.
ბევრი ნამგვარა ტოლ-სწორი
თუ თვალმუქურა ნანალი,
ის ვაჟიც მე რომ მოვწონდი,
ვზი უბეკალთადამწვარი.
რით შერჩა, ან რაც ვიტირე
ამ თოლთ სიცოცხლის ნიშანი,
არ ვიცი, ხვალ რას მიპირებს
ნუთისოფელი პირშავი.

ქოლგაც. კადრის სიღრმეში მოჩანს უსაზღვრო სივრცე და ობიექტივის მინაზე შეჩენილი დიდრონი შხეფები. ბუნდოვნად მოჩანს აბორგენული თეთრი ტალღები, შხეფები ნელ-ნელა დაცვივდებიან და დანმენდილი ობიექტივი უჩვენებს ცაში ატყორცნილ ტალღებს.

საბრალო ქალი ვინმეს რომ გადაყროდა იმ ნამს, ვინმეს რომ დაეძახა: შეჩერდი, ქალო, რას ჩადიხარო. როგორი იდუმალი სილამაზე მოსავს! შეჩერდი, შეჩერდი, შეჩერდი, მაგრამ მას ამ ქვეყნისა აღარაფერი არ ესმის. ქალი გაქრა თითქოს, ზღვამ ჩაყლაპა.

ტალღები უხმაუროდ იშლებიან ქვიშიან ნაპირზე, სიჩუმეში, მდუმარებაში, აზვირთებულ ტალღებში წამით ჩნდება და იძირება კომბინიზონიანი ქალის სხეული, ხანდახან ჩამოფრენილი კომბინიზონიდან ამოვარდება ცალი, მძიმე, თეთრი ძუძუ და უმაღლესი იძირება. აქაფებულ ტალღებში, წამით ჩნდება გოგოს ჩამორეცხილი თმა, გაფითრებული, გაქვავებული სახე, მთვარისფერი ღია თვალები, მისტიური, იდუმალი. ყვრილზე აკრული სიფრთხილი, პატარა ნიჟარები, თვალებში შიში და ძრწოლა. თმაში წყალმცენარეები, დაშლილი კავები, თეთრ ქაფში შავი გველებით იკლავებიან და მის ყელს ეხვევიან. სილამაზე დასაღუპავად განწირული, არა, არა, არა არ გავატან ზღვას ამ სილამაზეს, შეჩერდი, შეჩერდი, შეჩერდი, შეჩერდი, ქალო, რა განყენინეს, ასე როგორ გატკინეს გული, ასე ადვილად რომ იმეტებ თავს, ნუთუ არ გენანება შენი სინორჩე, შენი სინაზე, შეჩერდი, შეჩერდი, შეჩერდი, მთხოვ შეჩერდე, შეჩერდი, გოგონა! ნელა აბრუნებს თავს, სიძულვილით სავსე მზერა, ნელა იძირება ტალღებში, მერე ჩნდება მისი სახე, თეთრი, გაფითრებული, გაქვავებულ სახეზე შეიძრა ჩალურჯებული ბაგები და აბორგენულ ტალღების უხმაურო მქუხარებაში მოისმა ჩალურჯული სიღრმიდან, შორიდან, თითქოს ზღვის ფსკერიდან ამოღწეული ხმაჩამწყდარი ხმა: „ვინ ხარ შენ? ჩემს გადარჩენას რომ ლამობ... იქნებ გგონია, სიკეთეს ჩადიხარ, რა იცი შენ, ჩემი საიდუმლო, რა იცი, შენ, რა მოხდა და რაც მოხდა, იმის შემდეგ აღარ მინდა სიცოცხლე, რა იცი, იქნებ სიკვდილი ხსნაა“. ტალღებმა ჩაითრიეს ქალი, გააქრეს, გადაკარგეს. სიკვდილი ყველასათვის ხსნაა. ტალღები უხმაუროდ იშლებიან ქვიშიან.

პოლიციის ინსპექტორი, კაბაში ფრთხილად ახვევს ქალის ფეხსაცმელებს, იღებს ქოლგას, და უწვდის უცნობ პოლიციელს,


რომელიც აქომამდე არ გამოჩენილა ეკრანზე.

ინსპექტორი ხმამაღლა აცხადებს: ცხადა, კაბით და ფეხსაცმელებით საქმე არ გაიხსნება, მაგრამ ამ ერთადერთ ნივთიერ მტკიცებულებას, აქ ხომ არ დავტოვებთ, ჩვენ მას სამმართველოში ჩავაბარებთ და ის საქმეს წაადგება, საქმე კი აღძრულია.

ახლა მთავარია გვამის პოვნა, მაგრამ ასეთ ღელვაში, როცა ტალღები ხუთ ბაღს ალწევს, ძებნა შეუძლებელია. ჩვენ მოგვინევს ცდა. ერთ ორ დღეში ალბათ ზღვა დამშვიდდება, ტალღები დაიკლებს და შეუდგებით ძებნას. უკვე გაფრთხილებულია მამულთა კორპუსი, მზადყოფნაშია რამოდენიმე მოტორიანი ნავი, კატერები, ჩვენ აუცილებლად ვიპოვით გვამს, ან ზღვა გამოირყავს სადმე. პოლიციელი სტოვებს ეკრანს, უკანასკნელ, თეთრ ტალღებს შთანთქავს სიბნელე. ეკრანი ბნელდება, უცრად ნათდება და მოჩანს გამაყრუებელ ღრინაგულში საშინელი შეტაკება, ადამიანები უმოწყალოდ სცემენ ერთმანეთს, გამშველებლებიც ერევიან მუშტიკრივში, ველური ყვილით უბრაგუნებენ მუშტებს ცხვირ-პირში. დასისხლიანებული სახეები, შემოხეული პიჯაკები, გვერდზე მოქცეული საყელოები, ჰაერში დაფრინავს ანყვეტილი თეთრი მაქმანები, თეთრი პეპელა ჰალსტუხები, რამოდენიმე მოჩხუბარი უძრავად აგდია იატაკზე, მსხვილი პლანით ჩნდება ყრონტი ხელნაჭერილი, ენაგადმოგდებული მსუქანი კაცი — „ჩვენი პარტია არასოდეს“ — ხროტინებს იგი ჩახლენილი ხმით, მას თავში ხვდება სკამის ფეხი და მოცეკვილი ეცემა იატაკზე, ის, ვინც უთავაზა თავში კეტი, ხმალივით იქნევს სკამის ფეხს და ყვირის „ნადით, თქვენი პარტია“... ამ ალიაქოთში უწყვეტად ისმის მიკროფონში ქალის გამყინავი ხმა: კოლეგებო! კოლეგებო! კოლეგებო! გთხოვთ დაიკავოთ ადგილები!

მე ვთიშავ ტელევიზორს. დადუმდა პანდორას ყუთი. ვინ იყო ის საცოდავი ქალი? ყუთის მარცხენა კუთხეში დაბლა, ციმციმებს ნითელი შუქი. ნითელი წერტილი ნელ-ნელა მცირდება, როგორც შუქნიშანი, მატარებლის ბოლო ვაგონისა, სიბნელეში რომ დაინთქმება და ჩაიძირება.

ახლა იქ ბნელ ღამეში, ბორგავენ ტალღები. ზღვა ხმაურობს, მძიმედ ირწევა წყალმცენარეებში გახვეული ქალის სხეულს. ვინ იცის, ამ საღამოსაც კი გამოირყავს სადმე ქვიშიან და ღიად დარჩენილ თეთრი თვალებით ასცქერის ცივად მოციმციმე შორეულ ვარსკვლავებს, ვინ იყო ნეტა, ან ქოლგა რაღად უნდოდა?



დასასრული

ყველას თავისი შიში ჰქონდა - ყველას თავისი უძილო ღამეები თრგუნავდა და აწამებდა. გალაკტიონსაც საკუთარი შიში უნგრევდა ჩაკეტილ კარებს... შიშით გაყვლითი ღრუბლების სამეფოში ინერებოდა მისი ლექსები. ღრუბლებით ამოვსებული დრო უკიდვანო ბურუსად იქცა. ამ ბურუსს არც დასაწყისი უჩანდა და არც — დასასრული. იყო ქალაქები, იყო სოფლები, ჰქუხდა ტრიბუნა, ყვფდა რადიო, მაგრამ ყოველივე ეს ბურუსში იყო და ამ ბურუსში ადამიანები კი არა, ადამიანთა აჩრდილები ილანდებოდნენ. შემთხვევითი არც ისაა, რომ ოთარ ჩხეიძემ თავის ერთ-ერთ საუკეთესო რომანს სწორედ „ბურუსი“ უწოდა და ამ რომანში სწორედ ეს უკიდვანო ბურუსი აღწერა.

გალაკტიონის ეს შიში თუ ვერ შეიგრძენი, თუ მას გემო არ გაუხსნევ, თუ შხამმა არ დაგაიარა მთელ სხეულში — ისე ვერ ნაიკითხავ მას და მის დროს.

მე, პირადად, როცა გალაკტიონს მთლიანად ვკითხულობ (და არა ნაწილ-ნაწილ, და არა მხოლოდ რჩეულ ლექსებს, შიშზე კიდევ უფრო რაღაც საშინელს ვხედავ: მას სიკვდილისა კი არ ეშინოდა, კატორღის ცივი ქარი კი არ იჭრებოდა მის თეთრ ღამეებში... არა! არა! მას საკუთარი თავის კი არა, საკუთარი შემოქმედების გადარჩენა უნდოდა. მას იმისა ეშინოდა, რომ მოკლავდნენ და აღარ დაინერგებოდა ის ლექსები, რომლებიც უკვე მომდგარიყვნენ დასაბადებლად. ეს შიში „ფეხმძიმე პოეტის“ შიში იყო. პოეზიის გადასარჩენად ინერებოდა ანტიპოეზია — რევოლუციონისა და რევოლუციის ბელადების სადიდებელი ლექსები და პოემები. ინერებოდა მაშინაც კი, როცა ხალხს სისხლის ტბა ყელამდე მისწვდა, „შორეული აღმოსავლეთის“ ციხეები „უდანაშაულო დამნაშავეებით“ აივსო და ამ „დამნაშავეებს“ შორის მისი უახლოესი ადამიანებიც იყვნენ, მაგრამ...

მაგრამ, ის ხომ არც მედროვე იყო და არც — სულმდებალი; არც ყრუ იყო და არც ბრმა... ის ბურუსის შვილი იყო, ბურუსში ქმნიდა თავის შემოქმედებას; ის ბურუსის შვილი იყო და როცა მიიცვალა, სამარედაც ის ბურუსი ექცა.

ლაქსი

ქართულ პოეზიაში შედეგები სანთლით საქმენი არაა, მაგრამ ამ დიდ ეროვნულ საგანძურში არის არაერთი ისეთი ლექსიც, რომელიც მხოლოდ შედეგობაზე არ აცხადებს პრეტენზიას და შედეგზე ოდნავ მეტია, „ერთი გაფრენით მეტია“. ასეთ ლექსებში მხოლოდ ერთი პოეტის სუბიექტური ხმა კი არა — საერთო, ეროვნული ზარის გუგუნის ისმის და ამ ზარს თვით უფალი რეკავს.

ამჯერად სამ ასეთ ლექსზე მინდა შევეჩერდე.

უპირველესად „მერანზე“ მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას. ეს ლექსი საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთში დაინერა, როცა მზაკერული პოლიტიკით შემოღწეულმა რუსმა კოლონიზატორმა საბოლოოდ გააუქმა ეროვნული სახელმწიფოს სამმართველო სისტემა და ფეხქვეშ გაიგდო ყოველივე ის, რისთვისაც ქვეყანას ქვეყანა ჰქვია, ნაციონალური სახელმწიფო ეწოდება: მოშალა სამეფო ტახტი და აკრძალა ქართული ენა სკოლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში; გააუქმა სახელმწიფო — დაშალა იგი და გუბერნიების სახ-

ით შეუერთა რუსეთს, გააუქმა თვით სიტყვა „საქართველო“; მოშალა ავტოკეფალია და აკრძალა ქართული ნივთ-ლოცვა...

ამ უსაზღვრო უნამუსობაზე გოცნებით დაალო პირი საცოდავმა ქართველმა, — ეს როგორო! — დაიგმინეს 1832 წლის შეთქმულებმა; — ეს როგორო! — იყვინა მარინამ დედოფალმა და ხანჯალი გაუყვანა რუსის ოფიცერს; — ეს როგორო! — იგრვინა კონსტანტინე დადმუქელიანმა და...

აი, ამ ფონზე დაინერა „მერანი“. მასში სწორედ მოჯადოებული წრის გარღვევის დაუოკებელი წყურვილი და „ბედის სამძღვრის გადალახვის სულისკვეთება ადვენებული გაფრენილი მერანის ფაფარს. არც ილია ორბელიანის დატყვევება და არც ოფიცრობაზე მეოცნებე პოეტი! ეს საქართველოს ადგილის დედის თავგანწირული ნივლი ისმის ქარში; ეს ქართველთა უძველესი ღვთაება — თეთრი გიორგი ლაპარაკობს დიდი პოეტის პირით: — „გასანი, მერანო!..“

„კაი ყმა“ კი მაშინ დაინერა, როცა მონობის უღელში შეტყეული ერის ზნეობას გაუჩნდა ეროზია. არადა, ზნეობა ქართველთა უმთავრესი იარაღი იყო ყოველთვის. სწორედ ზნეობით ამარცხებდა ქართველი ერი კალიასავით შემოსეულ მტერს. ეს ლექსი მაშინ დაინერა, როცა ჩარჩ-ვაჭრებითა და მხოლოდ საკუთარ ჯამში ჩამაცქერალი „ჩოთქიანი“ ნაძირალებით აივსო ქვეყანა. „კაი ყმაში“ დაუჩანებელი გორდას სევდა ამოიღწერა:

„ღამე მადღრები დასწვებით, დილით მშვირები სდგებითა; თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ არც როს არ გამასდგებითა. თავისად სცოცხლობთ, მცონარედ ლეში ალალოთ, ჰკვებდითა, გაიგებთ კარგის გარჯასა, გწყინსთ და შურითა ხდებითა, უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს, უქმად საფლავში სწვებითა, დაჰკარგავთ სააქაოსა, ვერც საიქიოს სწვდებითა. არ იცით, დასწნდით რისადა, ან რისათვისა ჰკვდებითა!“

აქვე მინდა გავისხენო კიდევ ერთი ლექსი, რომელშიც ხალხური გენია გუგუნობს, რომელშიც გაუტყელობისა და დაუმორჩილებლობის ხმა ისმის მოწოდებად:

„არ გასტყდეთ, არხოტიენებო, გატყვით რა იქნებისა! ვისაც მოგვიკვლენ, დავმარხოთ, ახლა სხვა გაიზრდებისა!“

ეს ლექსიც საქართველოს ისტორიის დიდ მდინარეს მოჰყვა და დღესაც ახალი სიცოცხლითა და საბრძოლო სულისკვეთებით იკითხება იგი. ასეთი იყო ჩვენი წარსული. დაპყრობის დაუოკებელი წადილით იყურებოდნენ ჩვენსკენ დიდრონ-დიდრონი სახელმწიფოები. ზოგიერთს დღესაც ჩვენი „სიყვარულით“ უკვენის გული და დღესაც მათგანაა დაფლეთილი ჩვენი სამკვიდრო მიწა. დღესაც ისევ ავად შემოგვლმუის მადადაუცხრომელი მტერი და ამიტომ სწვდება ზეცას მშობლიური მიწის წილიდან და მშობელი ხალხის გულიდან ამოვარდნილი ხმა:

- არ გასტყდეთ!.. არ გასტყდეთ, რადგან მტრის შეკავება მხოლოდ ხალხის თავგზიანობას, მხოლოდ ხალხურ გაუტყელობას და ხალხურ თავგანწირვას ხელუნიფება!

ერთი ხელით და გულითაა შექმნილი „მერანი“, „კაი ყმა“ და „არ გასტყდეთ!“ ეს ლექსები ჩვენი მიწის ღრმა ფენებიდან ამოისროლა ადგილის დედამ.



ივერი მაისურაძე

ეპოქა ძელგი, არეული ბანი, ებანი... ხმა ჭეშმარიტი სიცრუის ხმას ეთელვინება. ბედის ღურღუმში ჩია კაცს რომ ფეხი დაგიცდეს. ილბალი გეტყვის: მე არაო — ღმერთმა ინება.

ველოცვა

სამშობლო- ქართა ქართა, ფეხზე მეხები ქალიშ, სადოლე ვგრიხე ქარა, მოვთაღე ჩხირი – ქარა, ქადა და კეცის ქარა, გულში ეკალო – ქარა.. ქადნა-ქადინი მოქანდა, მთხოვა დანა და ქალბანა, ვითომ სინმინდე სანმენდად, მღვრიე ტყუილმა დამბანა. ვენეხე კიდე და ქალაბი, მოველ ქალშავა ქალამდე, ღმერთო წამისა წაიღე, სასიყვარულო გადამდე.

მელამუნები ნატვრაო, შორიდან მელაციცები.. ცოტაა ენამზეობა, შენთვის მცირეა ფიცები.

თებერვალს ჩუმიად შეგნირავე. დაგიფინოდე ნისლები. ნამოვე, დედას დავხედე.. მაგრამ.. უშენოდ ვიცლები.

განა მარტო ქალს ჩვევია, თვალთ-არჩევანთა ურჩობა. თაფლიანს ქერა უნდოდა, ქერას შავფერა უჯობდა....

იას აუგი ვუთხარი, წყველა დამფინა ბაგეზე. ვაჰ, ჩემო უმადურობავ, რა სიკვდილივით მაქეზებ..

ხან ერზე დგება ბინდი... ბნელში უხმობდნენ ვაჩას: აჰა, დიდება შენი, მეტიც, ვაშა და ვაშა.

ბრმა დამიძახებს: ძმაო! უნდა ემონო ლაჩარს, მე კი ჩემ წილი ქება ერთი ღმერთისთვის დამრჩა.

თბილისური

სამ ხმაში ვხატე სამება, დამება მზერა სმენითა. სხვასთან თუ მიველ თუმნითა, შენთან – წვალეზა-თმენითა.

სადაც ლაყაფი გავაბი, ალაყაფები გამიღეს, გნახე, სულიდან შემოველ და მეცხრე ცაზე წამიღე.

თივა

ბავშვის ამბავს ჩიტი არეეს, მისთვის ქვა ვის დაეშინა? დაყვავება ყვავილს შვენის, დანანება ბერში ქმინავს..

სამკაპაზე წოლა მსურდა, დამელოდე ძილის შინა.. შორი ველი ურმებს ამტვრევს, შერწყმის გზა ვერ შეაშინა..

ვიკა მჟავანაძე

ლანდების მესა

იქ, სადაც ტალღა ბორგავდა ღამით, მელანდებოდა ლანდების მესა... ნაიარევი და მთვრალი ამით, – ვკვდებოდი თითქოს იმ ეულ დღესაც; ატმის კვირტივით ავფეთქდებოდი, – მამაცს, სიცოცხლე მწყუროდა მაინც. მე, მომაკვდავი, სიოს შეგთხოვდი, შენ ის საუნჯე გაეცი საით? ახლა მოვდივარ ღამის აჩრდილი, მოვსულვარ ისევ ჩუმიად და გვიან, – მსურს, მოვისმინო, ველად გაჭრილი შენი ჰანგები ცას როგორ ცვლიან. ალვის ფოთოლზე დაფრენილს შაშვად, მეფერებოდა ლანდების მესა. ალერსს შეგთხოვდი და ჩანდი არსად, – შენ არ გესმოდა ის ჩემი კვნესა.

აშულური გალადა

აშულური ბედი მაქვს, – ქალაქს ლექსით ვიფარავ, მეინახედ დამისვეს მთვრალი ძია ნიკალა. მის ირემზე შავხტები, ვიაჯამებ ნაპირზე, ჩემი გულის ხატები, მთვარევე, შუქით გამივსე! ამიციკვე კალმახი, – ქორფა, დედა-მტკვარისა, და ჰარიფი მანახე, მაჭარმა რომ გასრისა. შენს აშულურ დუქანში მოველ ისევ, ნიკალავ, შენ ბარბაცით სუფრას შლი და ბებრულ ცრემლს მიმაღავ. შველ-ირემზე შავხტები, ვაალაფებ ნაპირზე... ჩემი გულის ხატები, მთვარევე, შუქით გამივსე.

არქაული კოლხა

კდემა – გონების კანდელი, ტკივილთა კორიანტელი... სულში იყეფებს, ცხრება ამორძალეების წყება. სულშივე ცრემლად წყდება, – ხათუნ ხატავთს ხატობს, ქართული ღბინი ცხვება და ზღაპარს აცლის ქატოს. ძუ მგელი რძიან ჯიქნებს მთვარის ფალოსში იქნევს... სულში იყეფებს, ცხრება ამორძალეების წყება. ნაყოფს იღებს საქმისა, გუთნისდედა კოლხას პოხავს და ბებერი ქალ-მისანი როკვით ფერთხავს ველურ ჩოხას. კდემა – გონების კანდელი. ვნებათა კორიანტელი... სულში იყეფებს – ცხრება ამორძალეების წყება.

მოქცეული ნარმართის გალადა

თვალი – სულის სარკმელი და სასთუმალი, – ზეცამ მწუხრზე ისე ჩუმიად დაიურვა, – სიმძიმით ჩამოუშვა მან ვუალი და მზისფერი დაულამდა გრავიურა. სიომ სიმი დააპურა ძველ რომანსით და ვნებით კვლავ ელექსება მამალ ჰუნეს, მე კი... მიპყრობს ურწმუნობა იმ თომასი, – სანამ ჰუნე ნაცნობ ტრამალს დაიბრუნებს და შავ ხალებს კვლავ ვუკოცნი თოთო ტიტებს, სახე უთრთით მათ, – ღმერთი ცრემლგათოშლით და რძის დელგმა ძუძუებში ხვნეშით მიტევს, და ბუბუნებს დედამინა ცხელ საშოში. თუ ნოყიერ თავთავებად კვლავ მიგემებ, – აგირეკლავ ძველ თქმულებად მზის საყდარზე, ხელისგულზე პირამიდებს ამიგებენ და მეფისის ვრცელ ქვიშნარში იდარბაზებ. მე მოვწყდები წვეთად ნოეს კიდობნიდან, კვლავ გიჟურად გავაგელებ მამალ ჰუნეს და ვიქნები ის ბრძენი და ის მოგვი და ის ნარმართი, რწმენით ღმერთს რომ დაგიბრუნებს.

ჰნაბიანი რაფსოდია

დაგეშილი გიტარები... გაღეშილი სიმები... ბედის კოცნად იდარები, ხელისგულზე იტარები, როგორც ბოშის სიზმრები.

ავგაროზის ქალი მორბის, კაბისძირი ამოდ ეტალღება თავის დობილს ფარშავანგის მარაოდ.

ტემპი... ტემპი... წელი – კერპი. სალტეს სვეტში გავები. ხეთა ქოროს ვნებით ვეტრფი, – მლოცვენ მთვარის ქარვები...

მომთაბარე გაზაფხულებს ჭრელი ბოშა კარტები ცხელი ტუჩით დააპურებს და ცეცხლივით ატყდები!..

ავგაროზის ქალი მორბის, კაბისძირში ბანაობ, ეჯახები წვივზე დობილს მოცეკვავე მარაოდ.


იასანების თეთრი გალადა გ.გ.-ს

დღეს დილით ქარმა სევდა გამანდო, მეც გავუმხილე ფარული დარდი, და მაინც ისე, როგორც არასდროს, მე მის მოტანილ ყვავილებს ვგავდი. შეირხეოდა ჩემში სულივით იასანების თეთრი ბალადა... ბადაგად მოდგა ჩუმი სურვილი და მუდახილად სვეტში გქარგავდა... გვენატრებოდა ორივეს სითბო... ისე მხიბლავდა შენი ალერსი, მეფიქრებოდა – ცას წყნარად თითქოს მე დაფურნიე მკერდი მთვარესი. უცხო ვარსკვლავმა კოცნა დამასწრო, მან დამაბედა შენზე ზღვა დარდი, და მცემდა ქარი, როგორც არასდროს, და მიტოვებულ სალოცავს ვგავდი.

მწერალი

კოტე ჯანდიერი:

„სტილი განსაზღვრავს ლიტერატურას“



— დღემდე მასხოვს ის შთაბეჭდილება, როცა თქვენი მოთხრობები წაკითხვით, განსაკუთრებით „საოჯახო ქრონიკა“ და „დაპატიჟება კინოში“. როგორ წარმოგონდება თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება პირველი ნაწარმოებიდან დღემდე, და რამდენად შეიცვალა იგი?

— „საოჯახო ქრონიკა“ პირველი მოთხრობა არ ყოფილა. მას რამდენიმე გამოუქვეყნებელი და ერთი საუნივერსიტეტო ალმანახ „პირველ სხივში“ გამოქვეყნებული ტექსტი უძღოდა წინ. უნდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტის მწერალთა წრე, რომლის ბეჭდვითაც ორგანოც იყო შემოხსენებული ალმანახი, ჩემი სტუდენტობის დროს ახალგაზრდა ლიტერატორების პოპულარიზაციას, რეკლამირებას, ან, ეხლა რომ იტყვიან „ფრომონტის“, კი არ ისახავდა მიზნად, არამედ, თამამად შეიძლება ითქვას — თავისუფალი აზრის, არასაბჭოური განათლებისა და ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. ეს წრე ჯერ კიდევ ნიკო კეცხოველის რექტორობის დროს დაარსდა და ახლანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ მისი მუშაობის ფორმატი ძალიან სინტერესო და ეფექტური გამოდგა — მწერალთა წრის წევრს მანქანაზე სამ ეგზემპლარად გადაბეჭდილი საკუთარი ნაწარმოები უნდა წარმოედგინა განსახილველად (ცხადი, თუკი ამისი სურვილი ჰქონდა). აქედან ორი ეგზემპლარი, განხილვის დღემდე ერთი კვირით ადრე პირველი კორპუსის მესამე სართულზე, სტუდენტთა სამკითხველოში იდებოდა. ნებისმიერ მსურველს შეეძლო წინასწარ გაცნობოდა ტექსტს. დარჩენილი ორი ეგზემპლარი ეძღოდა წინასწარ შერჩეულ ორ ოპონენტს სარეცენზიოდ. ეს ოპონენტებიც, ცხადია წრის წევრები იყვნენ. ბოლოს განხილვის დღეც დგებოდა. ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორია ხალხით ივსებოდა. შემდეგ მასზე მდგარ გრძელ მაგიდასთან ავტორი, ოპონენტები, მწერალთა წრის მოქმედი თავმჯდომარე და ბატონი ტარიელ კვანჭილაშვილი (წრის ხელმძღვანელი) იკავებდნენ ადგილს. ავტორს ხმამაღლა უნდა წაეკითხა თავისი ნაწარმოები, მერე ტრიბუნასთან ოპონენტები დგებოდნენ თავიანთ რეცენზიებს კითხულობდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა თავისუფალი განხილვა, რომელშიც მონაწილეობის მიღება დარბაზში მყოფ ნებისმიერ ადამიანს შეეძლო. საოცარია, მაგრამ ხშირად ოპონირების დონე ბევრად აღემატებოდა იმდროინდელი ოფიციალური საბჭოთა კრიტიკის ხარისხობრივ ნიშნულს. ორატორები თავისუფლად ოპონირებდნენ ეგზენის ტენციულიზმის, ფსიქონალიზის, სტრუქტურალიზმისა და თანამედროვე თეოლოგიის ცნებებითა და მეთოდოლოგიით. მე პირადად პირველად სწორედ იმ სხდომებზე გავიგე როლან ბარტის, ლევი-სტროსის, იუნგის, ადლერის, რომან იაკობსონის სახელები. ეს ნამდვილი რევოლუცია იყო — ლიტერატურული ისტორიზმის, ე.წ. „განხილვის“ წიგნებისა და სოციალისტური ლიტერატურის ბრტყელ-ბრტყელ ფრაზეოლოგიასა და მდარე, სტერეოტუპულ აზროვნებაზე აღზრდილი ახალგაზრდები აქ ცნობოდნენ მხატვრულ ტექსტთან არსობრივი მდგომარის, სრულყოფილი ანალიზის, ნაწარმოების ფართო კულტურულ კონტექსტში განხილვისა და განზოგადების ანბანს.

საოცარია, ბატონი ტარიელი ტრადიციული საბჭოური ფილოლოგიური სკოლის აღზრდილი გახლდათ. ზემოთჩამოთვლილი ავტორების ნაწარმოებებს ის არ იცნობდა, ვინაიდან საბჭოური ცენზურის

მიერ ეს ყველაფერი ტაბუდადებული იყო. მაგრამ მისგან მკაფიო, თუმცა უთქმელ მხარდაჭერას, წახალისებას და ცხოველ ინტერესს ვგრძობდი. ჩვენ, მასთან ერთად ბნელი ხელის ცეცებით ვპოულობდით ცოდნისა და თანამედროვე აზროვნების ნაგლეჯებს — აკრძალულ სახელებს, წიგნებს, სტატიებს, ცალკეულ აზრებს და ვცდილობდით გავრკვეულიყავით მსოფლიოში მიმდინარე კულტურულ და ცივილიზაციურ პროცესებში. ბევრისათვის ეს საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალება, პრესტიჟის საქმე და კეცელუცობის სგანი გახდა. ამით ჩვენ, ყველანი მეტ-ნაკლებად ვცოდავდით. დღევანდელი მდგომარეობის განსხვავებით, მაშინ ჩვენთვის ბევრი რამ ხელმისაწვდომი არ იყო, მაგრამ საჭირო ნივთის ძებნა ჩვევაში გადავივიდა. საბჭოური ტაბუები და ცენზურა საკრალურ საბურველში ხვევდა უცხოელ ავტორთა გვარებს, ტექსტებს, მთელ მიმდინარეობებს. ეს ბადებდა აზარტს, აკრძალული ხილის მოწყვეტის წყურვილს და ცნობისმოყვარეობას. ეს არის ნებისმიერი ცენზურის დადებითი მხარე, ლოგიკური უკუფექტი, რასაც ვერასდროს ვერცერთი ცენზორი ვერ მოერევა. თუ პუშკინის პირად წერილებს გაეცნობით, პარადოქსულ აზრამდე მიხვალთ: ბენკენდორფი რომ არ ყოფილიყო, შესაძლებელია პუშკინს თავისი დიდი ტალანტი ქეიფში, შაყირში, ქალების დევნასა და ბანქოს თამაშში გაეფლანგა. ცხადია, რამდენიმე შედეგს მაინც დავეტოვებოდა, მაგრამ არა, იმ საოცრებას, რასაც მისი მთლიანი შემოქმედება: ლირიკა, პოემა, დრამები და პროზა ქვია.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ გახსნილი საზღვრების, ინტერნეტის მსოფლიო ქსელის, უწყვეტი საინფორმაციო ნაკადების პირობებში და შენუხებული ვართ საყოველთაო უნივერსიტეტის, გათავისებებული უნივერსიტეტისა და წარმატებული უნივერსიტეტის მოძალატეებისაგან. ხანდახან თავს მეზობურ ეროს რეპტილიად ვთვლი. ეს არის ჩემი თაობის ბედნიერება და უბედურებაც. ასე რომ, შინაგანი ემიგრაცია — ანუ ე.წ. „შემოქმედებითი ცხოვრება“ გარეგნული ცვლილებების გარეშე მიმდინარეობს.

— რა არის თქვენი აზრით დღესდღეობით მწერლის მთავარი დანიშნულება და რით განსხვავდება იგი კლასიკად ქცეული მოსაზრებისგან მწერლის დანიშნულების შესახებ?

— მწერლის დანიშნულებაა ადამიანებს გარკვეული ხნით დააინფიცოს ყოფითი ნერვიოზობები და უსიამოვნებები, გაათავისუფლოს ეგოცენტრიზმის დიქტატისაგან და განაცდევინოს სხვისი (თუნდაც გამოგონილი პერსონაჟების განსაცდელი), თუ გაუმართლა — მკითხველი კატარზისამდე მიიყვანოს, რითაც მას ემოციურ და ინტელექტუალურ სიამოვნებას მოუტანს. ამისათვის კი საჭიროა მწერალმა პერიოდულად დაიინფიცოს თავისი ყოველდღიური პრობლემები, ცოტა ხნით გამოვიდეს საკუთარი ტყავიდან და პერსონაჟის ცხოვრებით იცხოვროს.

მე არ ვიცი, რას გულისხმობთ „კლასიკად ქცეულ მოსაზრებაში მწერლის დანიშნულების შესახებ“, მაგრამ თუ ეს ერის მამობას, ფარის მწყემსობას, მანათობელ შუქურად ყოფნას ან სხვა, ამდგავარ საზოგადოებრივ აქტივობას ნიშნავს, მაშინ კატეგორიალურად გასაუხობთ — არა, ეს არ არის მწერლის დანიშნულება. თუ გოეთე და ილია ჭავჭავაძე წერის პარალელურად ამასაც ასერხებდნენ, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მწერალი ვალდებულია იგივე მოინადინოს, მხოლოდ იმიტომ, რომ აზრებისა და განცდების სიტყვით გამოთქმა და სიტყვების სწორად დალაგება შეუძლია.

მეორე მხრივ, ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის მწერალიც, ვალდებულია ხმას იმაღლებდეს უსამართლობის, სიყალბის, ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვის, ძალადობის, რასობრივი, ეროვნული, კონ-

ფესიური თუ ასაკობრივი სეგრეგაციის, სოციალური ჩაგვრისა და პოლიტიკური დევნის წინააღმდეგ. ეს ბანალური ჭეშმარიტებაა.

ისე კი, თუ ადამიანს წერა სიამოვნებას ანიჭებს, მისთვის გაცილებით ხელსაყრელია მარგინალურ მდგომარეობაში ყოფნა, ვიდრე სოციალურ ავანსცენაზე დგომა და ტელეკამერების წინ გაუთავებლად განცხადებებისა და კომენტარების კეთება ლიტერატურისგან დაშორებულ საკითხებზე.

— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავთ, თვითტკობა არ მახასიათებსო, მაგრამ მაინც, როგორ გრძნობთ, რომ მოთხრობა „გამოვიდა“...

— მე მგონი, ამ შეკითხვაზე ჩემი მოსაზრება უკვე გამოვთქვი. როცა ტექსტი დაწერილია, ის ავტორისგან დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს. იმ მომენტში, როდესაც ბოლო ფრაზას წერტილი ესმის, მწერალი ქრება და ჩნდება მკითხველი, რომელსაც ჩვეულებრივი მკითხველისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ნაწარმოების წაკითხვა პირველს შეუძლია, აქვს უფლება შეასწოროს, ან სულაც დაწვას ტექსტი. თუ ჩემს ნაწარმო აშკარა სიბრძნე არ შეინიშნება, თუ ის გონებრივ ინტერესს და ემოციურ მუხტს იწვევს, მაშინ შეიძლება ვივარაუდო, რომ რაღაც გამოვიდა. ამის შემდეგ მკითხველი ქრება და ჩნდება რედაქტორი სკალპელით ხელში.

— წერის დროს ხანგრძლივი პაუზები გავით თუ თავაუღებელი მუშაობა?

— თუ თავი არ აიღე და არ მიიხედ-მოიხედე, რის შესახებ უნდა წერო? პაუზებს რაც შეეხება, მე მგონი, ეს გარდაუვალია. სხვა საქმეა, მათი ხანგრძლივობა. ჩემს შემთხვევაში პაუზები წლობით გრძელდება ხოლმე. ახლა რომ ვაკვირდები, ყველა მოთხრობა, რომელიც კი დამინერია, ერთი სცენარით იქმნებოდა: ემოციური ბიძგი, ერთი, ან ორი მხატვრული სახე, პირველი რამდენიმე გვერდი, როგორც კამერტონი, რომელიც განსაზღვრავს რიტმს, თხრობის სტილს, ლექსიკას, მერე პაუზა... მეხსიერებაში მხოლოდ რიტმი და მთავარი ხატი, ან პერსონაჟი რჩება. ხანგრძლივი ცდა მომენტისა, როდესაც რომელიმე აზრი, თუნდაც სრულიად განყენებული, უნიონში მოვა მეხსიერებაში შენახულ განცდასთან. თუ ეს მოხდა, მერე ბუნებრივად ჩნდება ფაბულა, სხვა პერსონაჟები, სიუჟეტი კი წერის დროს იხლართება და თავისით მიექანება ფინალისაკენ. ეს ყველაზე სასიამოვნო ეტაპია. ცხადია, ეს ალბათ ყველაზე არარაციონალური მეთოდია მხატვრული ტექსტის დასაწერად. არავის ვურჩევდი მის გამოყენებას. სანუხაროდ, სხვა ტექნიკას არ ვფლობ. თუმცა, მკითხველს ეს რაში აინტერესებს?

— იწერთ თუ არა მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას? დამეთანხმებით დროთა განმავლობაში ბევრი რამ იკარგება და ქრება, რისი გაცოცხლებაც მერე თითქმის შეუძლებელია.

— გამიგია, რომ ბევრი სწორედ ასე იქცევა. მე კი კაზური ბუნებისა თუ სიზარმაცის გამო ეს არასდროს გამიკეთებია. შესაძლოა, სპონტანურად დაწერილი და შემდეგ უჯრამი დიდი ხნით დასაფლავებული პირველი რამდენიმე გვერდი თქვენს მიერ ნახსენები ჩანაწერების კომპენსაციაა. თუ ადამიანს გული უდევს ამისკენ და საკმაო შინაგანი დისციპლინაც აქვს, ჯობს სისტემატიურად იწერდეს უბის წიგნაკში. ეს გაცილებით სწორი და პროფესიონალური მგონია. ბევრი რამ, მართლაც ფერმკრთალდება და იკარგება. თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვანი სწორედ ის მგონია, რაც მეხსიერებიდან არ იშლება. საქმე მეხსიერებაშიც არ არის — წერა დიდ ემოციურ სტრესთანაა დაკავშირებული და ამ დროს არაცნობიერიდან მოულოდნელად ამოდის ხოლმე ის, რაც დიდი ხნის დაკარგულია და დავინწყებული გვეგონია. ამ თვალსაზრისით, შესა-

ძლოა ყველაზე სანდო „უბის წიგნაკი“ ჩვენი მრავალტანჯული და დაუნდობელი არაცნობიერი იყოს.

— თუ გკონიათ რომელიმე მწერლის გავლენა? სტილურ გავლენას ვგულისხმობ და არა ზოგად შთაბეჭდილებას.

— როგორც ცხოველების, ისე ადამიანების ნაშვირნი სამყაროს შეცნობას მიბადებით იწყებენ. მიბადება უნივერსალური ინსტრუმენტი რაღაცის გასაგებად. არისტოტელე მუსიკას ფრინველთა მიბადებას, დრამატურგიას კი „ამბების“ მიბადებას უწოდებდა. მახსოვს, მეთავე კლასში „დიდოსტატის მარჯვენას“ რომ ვაფიქსივდი, მთელი კლასი დაკავებული ვიყავით კონია გამსახურდიას სტილის პაროდირებით და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ისეთი მარგალიტების მოგონებაში, როგორცაა, მაგალითად: „ჩიჩი უყვარდაო, დედისიმედს, ბიჭი!“, ანდა „ფეხი რომ დაარტყი, ძალიან გეტკინა, ხეს?“ ამ ხუმრობა-ხუმრობაში, ჩვენ მივყავით იმ სინტაქსურ გასაღებს, რომლითაც მარტივად იხსნება კონიას სტილის საიდუმლო. მსგავს პაროდიალურ ცდებს იაკობ ცურტაველის, ვაჟაფშაველას და ილია ჭავჭავაძის მიმართაც ვატარებდით. პირადად ჩემთვის, ეს უწყინარი სტილური თამაშობანი სეროზული სკოლა (ენჯელომნიკების ენაზე „თრინინგი“) აღმოჩნდა.

დაბალ კლასებში, სანამ ედგარ პოს ნოველებს წაკითხავდი, ლიტერატურისადმი ჩემი ინტერესი სიუჟეტის განვითარებით და პერსონაჟთა ხასიათებით შემოიფარგლებოდა. მაგრამ ედგარ პოს პროზამ პირველად მაგრძნობინა სტილის მაგია. ეს სერიოზული აღმოჩენა იყო, ერთგვარი კულტურული შოკი. აქედან ერთი რამ მყარად ჩამებეჭდა თავში — სტილი განსაზღვრავს ლიტერატურას.

მე მაშინ ამას „ენას“ ვეძახდი. ვხვდებოდი, რომ „მამის მკვლელობა“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიც“ ქართულად, მაგრამ სრულიად განსხვავებით უნაზე იყო დაწერილი. მოსაყოლი ამბის შესატყვისი ენის გამოხატვა დღემდე მთავარ ლიტერატურულ ამოცანად მიმაჩნია.

სტილურ გავლენას რაც შეეხება, პირდაპირი გავლენებით ასეთი რამ არ შემინიშნავს. ინდივიდუალური სტილი კი საკმაოდ პირობითი ცნება მგონია. რა სტილური ნიშნების თანხვედრაა, აკა მორჩილადის ისეთ რომანებს შორის, როგორებიცაა, ვქვით „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და „გადაფრენა მადათოვზე“? აქ მხოლოდ ძალიან გამოცდილ ტექსტოლოგს შეუძლია რაიმე სინტაქსური ინტელექტური მსგავსების აღმოჩენა, ან დიდი გაჭირვებით. ამ მწერლის მთავარ ღირსება სწორედ სხვადასხვა ნარატივის ფლობაა და არა რაღაც აკვიატებული ინდივიდუალური სტილი.

საწინააღმდეგო მაგალითსაც მოვიყვან: გრიგოლ რობაქიძე ზუსტად ერთი ენით აღწერს ირუბაქიძის მითოსურ ამბავს და არჩიბაღლ მეკუის ტრაგიკულ პერიპეტებს გასაბჭოების დროინდელ საქართველოში, ამავე ენით გადმოვქცემს სტალინის ჰოროსკოპს და საკუთარ შთაბეჭდილებებს „სუბივილების“ კონცერტის ნახვის შემდეგ („ქართული გენია, როკით განფენილი“). როდესაც მთხრობელი მხოლოდ ერთი, ხელოვნურად გამოგონილი ნარატივის ტყვეობაში იმყოფება, ეს, ჩემი აზრით, ინდივიდუალური სტილი კი არა, უფრო მანერაა. მანერა კი ეგოცენტრიზმისა და თვითტკობის გამოხატულება მგონია.

მკითხველმა შეიძლება იკითხოს — კი მაგრამ, მარსელ პრუსტის ნაწარმოებები ხომ მკაფიოდ გამოხატული სტილური ერთიანობით გამოირჩევა, პრუსტი ხომ სხვა მწერალში ვერაფრით აგერევა? ესეა, მაგრამ, არსებითად, ყველაფერი რაც პრუსტმა დაწერა, ერთი დიდი რომანია. იგივე შეძლება ითქვას ბალზაკზე, რომელმაც მთელ თავის პროზას ერთი სათაურიც კი მოუგონა — „ადამიანური კომედია“. ამიტომ ზღვარი ინდივიდუალურ სტილსა

და მანერას შორის, ერთი შეხედვით, ძნელი გასაგებია. თუმცა კარგი მკითხველი ამას ყოველთვის გრძნობს.

— მარსელ პრუსტი წერდა: „კარგი წიგნების ერთ-ერთი გასაოცარი თვისებაა სწორედ ისაა, რომ ავტორისთვის მას შეიძლება „დასკვნები“ ერქვას, მკითხველისთვის კი „ბიძგი“. თქვენთვის რომელია ყველაზე კარგი წიგნი?

— პასუხი თქვენსაკენ კითხვაშია — კარგი წიგნი ის, რომელიც იძლევა ბიძგის ისეთ საკითხებზე ფიქრისათვის, რაზედაც წაკითხვამდე საერთოდ არ გიფიქრია, ან ფიქრის საგანი ასეთ რაკურსში ჯერ არ დაგინახავს; რომელიც ემოციურ და ინტელექტუალურ დაძაბულობას იწვევს და აღვიძებს წარმოსახვას; რომელიც, მოკლედ რომ ვთქვათ, საკუთარ თავს და პირად პრობლემებს გავიწყებს, ამით კი თავისუფლებას განიჭებს. ასეთი წიგნები, ღვთის მადლით, ძალიან ბევრია.

კარგი წიგნი, მაღალ ლიტერატურას არ ნიშნავს, მაგრამ მის გარეშე სამყარო დაიღუპებოდა. ჩვენი თაობაში ვის არა აქვს წაკითხული იაშადაშვილის „მგლის ბილიკი“?! სწობები იტყვიან, რომ ეს საერთოდ არ არის ლიტერატურა, რომ გემოვნების დაქვეითება ასეთი ტექსტებით იწყება და სხვ. მაგრამ „მგლის ბილიკი“ ის წიგნი იყო, რომელიც შორეული რეისის მძღოლებს „სიღვინის“ ქვეშ ედოთ და ხანმოკლე გაჩერებების დროს კითხულობდნენ; მაღაზიის გამყიდველ ქალებს წერებში ეშლებოდათ, როდესაც მყიდველი აიძულებდა თვალი მოეწყვიტათ გაცრეცილი ფურცლებისათვის და ძეხვი აენონათ; მადლობა იაშადაშვილს, იორამ ჩადუნელს და კიდევ ბევრს, რომელთა წიგნებიც გამართული ქართული ენის ნიაღში ამყოფებდა ამდენ ადამიანს და დროებით მაინც ათავისუფლებდა რუტინის, ერთფეროვნებისა და წვრილ-წვრილი საზრუნავ-საწუხარის ჭაობისაგან. მაშინ არავინ იტყოდა ასე: „მადლობა უნდა მოვუხადო“, „პოზიცია დავაფიქსირო“, ანდა „ინფორმაცია გავაჟღერო“.

— მწერლის შემოქმედება მაინც სინამდვილისა და გამოგონილის შერწყმაა, ასე ჩანს თქვენს ბოლო მოთხრობაში „გლობალიზაცია“. ეს მეტად საჭირობოტო პრობლემაა დღევანდელ მსოფლიოსთვის და არც საქართველოა გამონაკლისი.

— ფილოსოფოსმა და პოეტმა მამუკა ლეკიაშვილმა ერთხელ მოსწრებულად თქვა, ცივილიზაცია ისტორიის დიდი მდინარის ნაპირებზე მშენებარე კომპლექსს ჰგავს, რომელიც ამავე მდინარის მოტანილი მასალით იგება. ურთიერთდაკავშირებულ შენობა-ნაგებობათა დახვევა ნელ-ნელა ავიწროვებს კალაპოტს და ნაბიჯ-ნაბიჯ ართმევს მდინარეს მის კუთვნილ სივრცეს. ეს უსასრულო მშენებლობა ნაგებობათა კომპლექსს საბოლოოდ ერთ დიდ სახლად აქცევს, რომლის შიგნითაც მიჰქრის არტახებში მოქცეული მდინარე და ვინაიდან ეს არტახები სულ უფრო და უფრო ვიწროვდება, მდინარის დინება სულ უფრო სწრაფი და ცოფიანი ხდება. ეს პროცესი ბოლოს მიღწევს კრიტიკულ ზღვარს, როდესაც ისტორია შურს იძიებს.

დიდი მადლობა მამუკას ამ მარტივი და ზუსტი მეტაფორისთვის, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თანამედროვე ცივილიზაციურ პროცესებზე, გლობალიზაციასა და მომავლის პერსპექტივაზე. ნამდვილად არის რაღაც გიჟური პროექტი, სახელწოდებით „გლობალიზაცია“ — ანუ ერთი ვეება სახლი, რომლის შიგნითაც მდინარეა გამოკეტილი. XX საუკუნის ბოლოს ფრენსის ფუკუიამამ უკვე გვამცნო კიდევ ისტორიის დასრულების შესახებ. მერე აღმოჩნდა, რომ ფუკუიამას „ინფორმაცია“ ისტორიის გარდაცვალების შესახებ ნაადრევი და გადაჭარბებული აღმოჩნდა, მაგრამ ტენდენცია (ან, როგორც ჩვენი ლიბერალი-ინტელექტუალები იტყვიან, „ინტენცია“) ზუსტად არის ნაგრძობი და ჩავლებული. ცხადია, ეს ხეროზულ ხიფათს უქმნის ცივილიზაციას. ჩვენ ვხედვით, რომ საბედისწერო ზზარი უკვე თავიდან ბოლომდე გასდევს ცივილიზებულ სამყაროს და მამუკა ლეკიაშვილის სიტყვებით რომ ვთქ-

ვათ, „ამ მრავალსართულიან ნაგებობას ნიუ-იორკის ტყუპებივით დანგრევით ემუქრება“. ჩვენ ვგრძნობთ, რომ რღვევას განიცდის ყველა შრე და სართული: იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და ეგზისტენციალური. იგივე ითქმის ადამიანის ფსიქიკისა და ცნობიერების შესახებაც. ყველა ჩამოთვლილ სფეროში კონფლიქტები და განხეთქილება პერმანენტული და შეუქცევადია.

— გლობალიზაცია ჩვენშიც იკიდებს ფეხს, რასაც თქვენი მოთხრობის პერსონაჟებიც გრძნობენ, მაგრამ სჯობს მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული ჰქონდეს საზოგადოებას, თუ რასთან აქვს საქმე, რათა მოსალოდნელზე ნაკლები დავკარგოთ.

— საქართველოში (და საქართველოს გარეთაც) ბევრი ფიქრობს, რომ გლობალიზაცია ქვეყნებისა და ერებისათვის ვილაცის მიერ ხელგონურად თავსმოხვეული ძალადობრივი ქმედებაა. ამ „ვილაცაში“, ალბათ ტრანს-ნაციონალური ფინანსური კორპორაციები უნდა იგულისხმებოდეს. ხალხურად ამას ზოგჯერ „მასონების“, უარეს შემთხვევაში კი „სიონისტების“ გლობალურ შეთქმულებად ნათლავენ ხოლმე. ასეთი ტიპის მსჯელობას ხშირად ვისმენთ ბაზრობებზე, ტრანსპორტში, ტელეეკრანიდანაც კი.

ნამდვილად არ მივეკუთვნები იმ სწობების რიცხვს, რომლებიც წარამარა გაიძახიან ნეოლიბერალურ კლიშედ ქვეულ უაზრო ფრაზას: „მე არ მჯერა შეთქმულებათა თეორიის.“ გვჯერა, თუ არ გვჯერა, ფაქტია, რომ მასშტაბური შეთქმულებები ისტორიარიაში ხდებოდა, ხდება და მომავალშიც მოხდება. მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნამდვილად ვერ გავიზიარებ ისტორიის პრიმიტიულ მასონოფობიურ ახსნას.

მე ვიზიარებ აზრს, რომ გლობალიზაცია დასავლური ცივილიზაციის ისტორიული განვითარების შედეგად წარმოშობილი კანონზომიერი პროცესია და ისტორიის სუბიექტების — ერების, წინაშე შლის ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პერსპექტივებს, მაგრამ, ამავე დროს შეიცავს სერიოზულ ხიფათსაც. გლობალიზაციის პროცესის პოზიტურად გამოყენება დამოკიდებულია თითოეულ ცალკე ადებულ ერზე და ეროვნულ სახელმწიფოზე, მის ინტელექტუალურ, სულიერ და მატერიალურ მზაობაზე. მაგრამ, ვინაიდან ასეთი მზაობის ხარისხი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაა — გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებული სარგებელიც და საშიშროებაც ყველა ცალკე ადებული ერისთვის განსხვავებული იქნება. აქედან გამომდინარე, განუზომლად იზრდება ნებისმიერი ეროვნული ხელისუფლების მნიშვნელობა და მისი პასუხისმგებლობა, რათა მაქსიმალურად გამოიყენოს ახალი საშუალებები და მინიმუმადე შეამციროს ერის წინაშე მდგარი ხიფათი.

როდესაც საუბარია გლობალიზაციის პოზიტურ მხარეზე, აქცენტი სამ არსებით მომენტზე კეთდება:

1. ინფორმაციული ნაკადების სწრაფი და შეუზღუდავი მიღებისა და გავრცელების საშუალება პლანეტარულ მასშტაბში (მასმედია, მულტიმედია, ინტერნეტი და სხვ.).
2. დედამიწის ნებისმიერ წერტილში კაპიტალის სწრაფად და შეუზღუდავად მოზიდვის საშუალება, საჭირო პროექტის განსახორციელებლად (საერთაშორისო საბანკო ქსელი, საფინანსო ბირჟები და სხვ.).
3. ნებისმიერი პროფესიისა და კვალიფიკაციის ადამიანთა (ფიზიკური და ინტელექტუალური რესურსის) თავისუფალი, ან გამარტივებული წესით გადაადგილების საშუალება.

თეორიულად, ნებისმიერ ერსა და ეროვნულ ხელისუფლებას შეუძლია ამ სამი საშუალებიდან ნებისმიერის საკუთარი ნაციონალური ინტერესების შესაბამისად, გააზრებულად და ეფექტურად გამოყენება. ანალოგიურად — ნებისმიერ ადამიანს, ან კორპორაციული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფს შეუძლია ზემოხსენებულ საშუალებათა



გამოყენება საკუთარი ინტერესებისათვის. მაგრამ, სწორედ ამაშივე იმალება საფრთხეც. საქმე ისაა, რომ გლობალიზაციის პროცესი არაპროპორციულად ზრდის ძლიერი სახელმწიფოებისა და კორპორაციული ჯგუფების იდეებს, პოლიტიკური და ეკონომიკურ ინტერესების გავრცელებისა და გაბატონების საშუალებას.

2004 წლისათვის მესამე სამყაროს ქვეყნების ჯამურმა ვალმა ორნახევარ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, ამ ვალის მომსახურება, კი ამ ქვეყნებს ყოველწლიურად სამას სამოცდათხუთმეტი მილიარდი უჯდებათ. ეს 3-ჯერ მეტია, ვიდრე მესამე სამყაროს ქვეყნები ჯანდაცვასა და განათლებაზე ჯამურად ხარჯავენ და ოცჯერ აღემატება განვითარებადი სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური დახმარების სახით გამოყოფილ თანხებს. დედამიწის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს დღეში 2 დოლარად. ამავე დროს, განვითარებად ქვეყნებში კერძო კაპიტალისა და უძრავი ქონების 70-დან 90 პროცენტამდე ეკუთვნის ამ ქვეყნებში მცხოვრები ოჯახების 1 პროცენტს. მესამე სამყაროს ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი პროცენტული საგარეო ვალების გადახდას, ადგილობრივ ჩინოვნიკთა გამდიდრებას და ძირითადად მათ დასაცავად შექმნილი პოლიციური ძალებისა და არმიების შენახვას ხმარდება და არა მოსახლეობის ეკონომიკურ დახმარებას, რომლის აბსოლუტური უმრავლესობაც სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იმყოფება (ჯ. პერკინსი, 2005).

მექანიზმი, რომლის საშუალებითაც დედამიწაზე ასეთი გლობალური „სტატუს-კვო“ მიიღწევა, მარტივია:

1. ეროვნული მთავრობების დარწმუნება ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკის სექტორის განვითარებისათვის უზარმაზარი საგარეო სესხების აღების აუცილებლობაში;
2. მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, ან მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციებისაგან სესხის გაცემა იმ პირობით, რომ პროექტებისა და განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხის ორი მესამედი მოხმარდება უცხოელი ექსპერტების, ინჟინრებისა და ტექპერსონალის ანაზღაურებას, აგრეთვე საბანკო მომსახურებას;
3. ეროვნული მთავრობების იძულება, გადაუხდელი ვალების მომსახურების სანაცვლოდ გაასხვისონ ბუნებრივი რესურსები და სტრატეგიული ობიექტები.

პერკინსი თვლის, რომ, გლობალური იმპერიის ჩამოყალიბების ფინით შეპყრობილი კორპორაციები, ბანკები და მთავრობები იყენებენ მთელ თავის ფინანსურ და პოლიტიკურ მუსკულატურას, რათა ჩვენი სკოლები, უნივერსიტეტები,

ფორმები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღიარებდნენ და ამკვიდრებდნენ აზრს, რომ სიხრბე განვითარების მთავარი სტიმული და მოტივაციაა, რომ დედამიწის ბუნებრივ სიმდიდრეთა უკანმოუხედავი ექსპლუატაცია გამართლებულია, რომ ჩვენმა შვილებმა უნდა მიბაძონ ადამიანებს, რომელთა ცხოვრების წესიც ყოველად უზნეო და გაუნონასწორებელია, რომ დედამიწის მოსახლეობის დიდი ჯგუფები უნდა ცხოვრობდნენ „დანაშაურებული“ ელიტარული უმცირესობის კარნახით და ექვემდებარებოდნენ მას...

რა თქმა უნდა, ყველაზე ადვილი და კომფორტული იქნებოდა ყველაფერი ორგანიზებული შეთქმულების, ან შეთქმულთა ჯგუფისათვის გადაგვებრალეზინა, მაგრამ საუბედუროდ, თუ საბედნიეროდ ეს შეუძლებელია. ეს არ არის შეთქმულება. ეს ჩვენ ვართ, მთელი ჩვენი უაზრობით, სიხარბით და ცოფით. ყველაფერს ჩვენივე ხელით ვაკეთებთ, უფრო სწორედ ვაოხრებთ და ამიტომაც გვიჭირს გლობალიზაციასთან სწორი, არსებობისათვის მეტ-ნაკლებად უხიფათო მიმართების გამოძებნა.


— რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, როგორც მწერლისთვის მოცალეობას?

— მოცალეობის შესახებ კაცობრიობის ერთერთი მთავარი წიგნის, ბიბლიის პირველსავე გვერდზე საოცარი რამ წერია: თავიდან ღმერთმა შექმნა ზეცა და მიწა, შემდეგ დღეების მიხედვითაა აღწერილი სამყაროს შექმნის ეტაპები, ბოლოს კი ტექსტი გვამცნობს, რომ მეშვიდე დღეს ღმერთმა დაისვენა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ღმერთი დაიღალა. ეს ცნობა დემიურგის მიერ შექმნილ კოსმიურ ნესრიგში მოცალეობის ადგილსა და მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს. ეს ნამდვილად ღვთაებრივი მჭვრეტელობისა და ჰედონიზმის გამოხატულებაა.

მეორე, ქართველთათვის უმთავრეს წიგნში, „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველი ღმერთის მიერ ადამიანებისთვის ბოძებული მადლის, მიჯნურობის ახსნისას მოცალეობას აუცილებელ პირობად მიიჩნევს სიყრმესა და სიუხვესთან ერთად.

მოცალეობა სრულ უსაქმურობასა და მარაზში ყოფნას არ ნიშნავს. კიდევ ერთი ბიბლიური გამონათქვამის თანახმად, „არის ჟამი ქვათა გროვებისა და არის ჟამი ქვათა სროლისა“. მოცალეობა მთაბეჭდილების, ცოდნისა და გამოცდილების გროვების ჟამია. შემოქმედება კი — ქვების სროლაა.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ მოცალეობის როლისა და მნიშვნელობის შეფასებაში მე სრულად ვეთანხმები ზემოთმოყვანილ ავტორიტეტულ მოსაზრებებს.



პატივცემული საზოგადოებავ!

უპირკველად უნდა მოგიბოდიშოთ, ვინაიდან არ მაქვს ამ ლექციის ინგლისურად ნაკითხვის უნარი. უკვე მესამე წელია, რაც ამერიკაში ვცხოვრობ, და ამ ენას ჯერჯერობა ვერ დავუფიქრებ. ნიუ-იორკში ჩამოსვლის პირველივე დღიდან ურთიერთობა რუსულ ემიგრანტულ წრეებთან დავამყარე და მხოლოდ რუსული პრობლემებით ვარ დაკავებული. გახლდით ყოველკვირეული რუსულენოვანი ჟურნალის „ახალი ამერიკელი“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და, აქედან გამომდინარე, ინგლისური მხოლოდ სუპერმარკეტის ინგლისურ ენაზე მჭირდება. საერთოდ, ინგლისურ ენას რუსი ემიგრანტები სხვადასხვა დონეზე ფლობენ. ეს ცოდნა შემდეგნაირად შეიძლება დავახარისხოთ: მეტროს ინგლისური, სუპერმარკეტის ინგლისური; უფრო ზემოთ – ტელევიზორის ინგლისური და „დეილი ნიუზის“ ინგლისური. ბოლოს კი, მწვერვალზე – ჩაინა თავის „ანუ ჩინური უზნის ინგლისური. ყველაზე მეტად ჩვენ იმ ინგლისურის გაგება გვჭირს, რომელიც ჩინური რესტორნების, სამრეცხაოებისა და საკანცელარიო მალაზიების მფლობელები სარგებლობენ. ჩემს მეგობართან ყველაზე გონიერი უმთავრესად ინგლისურის ცუდ ცოდნაში მაღაზიანობა უნდა იყოს. მათ ორი არგუმენტი აქვთ:

1. თუ ინგლისურს სრულყოფილად დაეუფლები, შეძლებ ამერიკელ და ინგლისურ მწერალთა ნაწარმოებების ორიგინალში ნაკითხვას და შენს წინაშე ახალი, ბრწყინვალე სამყარო გადმოგვხატავს.
 2. ინგლისურის საფუძვლიანად შესწავლა გაგიადვილებს ამერიკელებთან ურთიერთობას და დაგეხმარება, უკეთ შეიცნო ეს საოცარი ქვეყანა და საკუთარი თავი მის სრულყოფილ მოქალაქედ შეიკრძნოს.
- ამაზე ჩემი კონტრ-არგუმენტებით ვპასუხობ ხოლმე. ინგლისურის ძალიან კარგად შესწავლის შემთხვევაშიც კი, დიდი დიდი ის შევძლო, რომ უკეთ გავიგო ამერიკელი და ინგლისელი ავტორების ნაწარმოებები სიუჟეტი, ჩასწვდემით აზრებსა და იდეებს.
- თუმცა ლიტერატურაში ყველაზე ნაკლებად სწორედ აზრები, იდეები, და განსაკუთრებით სიუჟეტი მაინტერესებს. ჩემთვის ყველაზე ღირებული არაა ნაწარმოების ანალიტიკური მხარე, არამედ მისი ხმოვანი გამა, მისი არომატი, მისი გრადუსი, მისი ფერწერული და ფონეტიკური სტრუქტურა – ანუ სწორედ ის, რასაც ჩვენ აუხსენებლ მიმზიდველობას ვეძახით.
- თან უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემს სამშობლოში, რაც არ უნდა უცნაურად გეჩვენოთ, მთარგმნელობითი საქმიანობა ძალზე კარგადაა ორგანიზებული. ბევრი ნიჭიერი მწერალი და პოეტის ცენზურა მათი ნაწარმოებების გამოქვეყნების საშუალება არ აძლევს და ისიც იძულებულია მთარგმნელობას მიჰყოს ხელი, რათა როგორმე საარსებო სახსარი მოიპოვოს. შემოდის უამრავი შესანიშნავი სახელი გავიხსენო, დაწყებული პასტერნაკისა და ახმატოვასგან, ბროდსკითა და ახმადულინათი დამთავრებული. ამით თარგმანთა დონე უდაოდ გაუმჯობესდა, მაგრამ ეს მოხდა მთლიანი რუსული ლიტერატურის ხარისხის კლების ხარჯზე. ასეა თუ ისე, რუსეთში შესაძლებელია ჯოისის, ორუელის, კიპლინგის, ჰემინგუის, ფოლკნერის, კოლდუელის, თომას ვულფის, სტაინბეკის, ვონეგუტის, ადაიკის, სელინჯერისა და მრავალი სხვა, შესანიშნავი ინგ-

სერგეი დოვლატოვი

რუსული ლიტერატურის პრინციპული და სილატაკი (ნიუ-იორკის უნივერსიტეტი ნაკითხული ლექცია)

ლისურენოვანი ავტორის თარგმანთა ყიდვა.

რაც შეეხება პირად კონტაქტებს, ბევრი თავისუფალი დრო არ მაქვს. ამიტომ ვცდილობ ლიტერატორებთან ვითანამშრომლო, უმთავრესად ამერიკელ სლავისტებსა და მთარგმნელებთან, ანუ რუსული ენის მცოდნეებთან. ასეთებია, მაგალითად, ამერიკელთა შორის ჩემი უახლოესი მეგობარი, რუსული ფილოლოგიის პროფესორი კარლ პროფერი და მთარგმნელი ენ ფრიდმანი, ვისი რუსულიც ჩემსას არ ჩამოუვარდება.

გამოგიტყდებით, რაც მოგახსენეთ, სულელური თავისმართლება და საკუთარი უდარდელობის გამართლების მცდელობა. ამიტომაც კიდევ ერთხელ გთხოვთ პატივს იმისათვის, რომ ამ ლექციას რუსულად გიკითხავთ.

ახლა ჩვენი ლექციის თემას დავუბრუნდეთ.

ლექციის სათაურად ონორე დე ბალზაკის რომანის სახელი „კურტიზანთა ბრწინვალება და სილატაკი“ ავირჩიე. ლიტერატურის შედარება თავისუფალი ყოფაცემის ქალბატონთან მკრეხლობად სულაც არ მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში ლიტერატურას ის უფრო ესადაგება, ვიდრე, ვთქვით, პატიოსანი დიასახლისის ანდაც კეთილსინდისიერი მოსამსახურის როლი. თავისუფალი ყოფაცემის ქალბატონთან ლიტერატურას ისიც აახლოვებს, რომ მისი ღირებულება მასშივეა, და არა მის მიერ გახმოვანებულ პრინციპებში. ლექციის ამ სათაურს ისიც ამართლებს, რომ დღესდღეისობით რუსულ ლიტერატურაში ერთდროულად შეიმჩნევა როგორც მისი უდაოდ იდეების ნიშნები, მისივე აპკარა უბადრუკობაც.

დავინყოთ იქიდან, რომ ევროპული და ამერიკული ლიტერატურისგან განსხვავებით, რუსული ლიტერატურა, დასავლური გაგებით, ლიტერატურას საერთოდ არ წარმოადგენს.

ეს პარადოქსი ერთგვარ განმარტებას საჭიროებს.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესია (რუსეთის მთავარი ეკლესია) დასავლური, კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიებისგან განსხვავებით რუს ხალხში დიდი ავტორიტეტით არასდროს სარგებლობდა. მას არ გააჩნდა ის მრისხანე ძალა, რომელიც მისდამი პატივისცემასა და შიშს დათესდა. რუსულ ხალხურ ზღაპრებში ბევრგან ვაწყდებით მრავალ შურადაცხყოფასა და დაცინვას მღვდელთმსახურთა მიმართ. იქ ხშირად აბურხან იგდებენ მღვდლებსა და მათ ცოლებს, რომლებიც, როგორც წესი ხარბ, ბრიყვ და გაიძვარა ტიპაჟებად არიან გამოყვანილნი. რუსული ეკლესიის ისტორიაში მრავალი მონამე და გმირია, მაგრამ ძალიან იშვიათად თუ ნააწყდებით მოქმედების პოზიტიური პროგრამის მქონე რელიგიურ მოღვაწეს. რუსული ეკლესიის ავტორიტეტი სწორედ ახლა მტკიცდება, ამ ბოლო ათწლეულში, ანუ დისიდენტობის ეპოქაში, როდესაც რამდენიმე რუსმა მღვდელთმსახურმა დიდი სულიერი სიმტკიცე გამოავლინა ტოტალიტარზმთან ბრძოლაში რითაც ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

რაც შეეხება რუსულ ფილოსოფიას, იგი დასავლურ ფილოსოფიაზე ბევრად ახალგაზრდაა. მან განვითარება მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაიწყო, რითაც მსოფლიოს ისეთი ბრწყინვალე სახელები მისცა, როგორცაა ბულგაკოვი, სოლოვიოვი, ლეონტიევი, ბერდიაევი და სხვები. ისტორიულად, ფილოსოფოსებს რუსეთში ყველა ჯურის ანტისოციალური ელემენტები ენაცვლებოდნენ – სალოსები, მანანალები, გალოთებული მნიგნობარ-მოლაყებები და უბრალო ქუჩის ტაკიმასხრები. მათ მიმართ რუსული საზოგადოება ყოველთვის ერთგვარ ზიზღნარევე ცნობისმოყვარეობას ავლენდა.

სხვა ამბავია ლიტერატურა, რომელიც რუსეთში ყოველთვის უკიდურესად პოპულარული იყო და დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მწერალს რუსეთში წინასწარმეტყველად თვლიდნენ და მას ტიტანურ შესაძლებლობებს აწერდნენ. მწერლისაგან რუსეთში ყველაზე დიდი, სახელმ-

ნიფობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრას ელოდნენ ხოლმე. მისი როლი და ფუნქცია აქ ყოველთვის განსაკუთრებულად საპატიო იყო. ამიტომაც საკუთარ თავზე თქმა, რომ „მწერალი ვარ“ რუსეთში ისეთივე ცუდ ტონად ითვლებოდა, როგორც თქმა იმისა, რომ „ულამაზესი ვარ“, ან „სექსუალური გიგანტი ვარ“, ან უბრალოდ, რომ „ვარ კარგი ადამიანი“. რუსეთში მწერლებთან დამოკიდებულება ძალიან ჰგავს ამერიკელების დამოკიდებულებას კინოვარსკვლავებთან ან სპორტის ჩემპიონებთან. საბჭოთა კავშირში სატელევიზიო რეკლამა რომ არსებობდეს, ფილმებს შორის პაუზებში ვიხილავდით არა ფარაფოსეტს, ან მუჰამედ ალის, არამედ კურტ ვონეგუტს, ადაიკს და აიზეკ ბაშევიც ზინგერს. თუმცა, რა დასამალია, რომ ფარაფოსეტი მაინც უკეთ გამოიყურება, ვიდრე ზინგერი, და თუნდაც ვონეგუტი.

სწორედ ამ მიზეზით რუსულმა ლიტერატურამ თანდათან შეიძინა ის თვისებები, რომლებიც მას არანაირად არ სჭირდებოდა. რელიგიის ანალოგიურად, მან თავზე უდიდესი წნეობრივი მუხტის იტვირთა, ხოლო ფილოსოფიის დარად გარესამყაროს ინტელექტუალური განმარტების მისიას დაეპატრონა. წმინდა ესთეტიური, არტიტული მოვლენიდან ლიტერატურა თანდათანობით ცხოვრების სახელმძღვანელოდ გადაიქცა. უფრო ხატოვნად თუ ვიტყვი, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ყოფილიყო ოქრო, იგი ოქროს მოპოვების ინსტრუქციად გადაკეთდა.

ამას ხელი რუსულმა ლიტერატურულმა კრიტიკამაც შეუწყო, რომლის საფუძვლებიც კრიტიკულად საზოგადო მოღვაწეებმა — ბელისკიმ, ჩერნიშევიკიმ და დობროლიუბოვმა ჩაყარეს. კრიტიკა ლიტერატურას ისეთ მოთხოვნებს უყენებდა, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ ლიტერატურის ესთეტიურ ღირებულებებთან და მას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტენდენციების მსახურებას ავალებდა. რუსული ლიტერატურისაგან მოელოდნენ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას, განათლების პოპულარიზაციას, და არც ისე უკანასკნელ რიგში – მიმზიდველ და დამაჯერებელ წინადაცემებს.

ამგვარად, ჭეშმარიტი რუსული ლიტერატურის ისტორია მისი ესთეტიური უფლებების შენარჩუნებისათვის ბრძოლის და ამ, მის მიერვე დანესებულ, ესთეტიურ საზღვრებში თავისუფალი განვითარებისთვის ბრძოლის ამბავია.

ამის ზედმინევიზით ზუსტ მაგალითს უდიდესი რუსი პოეტი და პროზაიკოსი ალექსანდრე პუშკინი წარმოადგენს. პუშკინმა განასახიერა ყველაფერი საუკეთესო და სრულყოფილი რუსული ლიტერატურაში. საბჭოთა კავშირში პუშკინის პიროვნება და შემოქმედება დღეისთვის მთლიანად კანონიზირებულია. არსებობს მისი სახელობის ასობით ჰუმანიტარული დაწესებულება, მის ნაწარმოებებს ასწავლიან სკოლებსა და უნივერსიტეტებში. მისი პორტრეტები ისევე ხშირად გვხვდება თვალში, როგორც ლენინისა და ბრეჟნევის პორტრეტები. სინამდვილისგან ხშირად ძლიერ დაბოროტებულ მის გამოსახულებებს ნააწყდებით აბნობებსა და სტადიონებზე, საბავშვო ბალებსა და სტომატოლოგიურ კლინიკებში. პუშკინის შემოქმედება წმინდაა-წმინდაა ლენინისა და ბრეჟნევის შემოქმედების მსგავსად. თუმცა, ეს ყოველთვის ასე როდი იყო. პუშკინს თანამედროვენი ქარაფშუტობასა და მოლაყებობას აბრალებდნენ, თხზავდნენ მასზე მწარე პაროდებს და მისგან მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟღერადობის მქონე ნაწარმოებებს ითხოვდნენ. ამასთან დაკავშირებით მოვიყვან ერთ ციტატას პუშკინისა და მის ახლო მეგობრის, თავად ვიაზემსკის მიმონერიდან.

ვიაზემსკი წერს:

„ყველა მწერლის ამოცანა ისაა, რომ მკითხველს სიკეთისადმი სიყვარული, ცოდვისადმი კი სიძულვილი გაუღვივოს“.

პუშკინი მტკიცედ და მკაცრად პასუხობს:

„სულაც არა. პოეზია წნეობრივად მალაა. ყოველ შემთხვევაში, ის სულ სხვა რამეა“.

პუშკინის ამ განცხადებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეორე ნაწილია. განსჯა იმაზე, რა უფრო მალა დგას, პოეზია თუ წნეობა, ისევე რთულია, როგორც იმის გარკვევა, სპილო უფრო ძლიერია თუ ვეშაპი. სირთულე სწორედ ისაა, რომ ისინი სრულად განსხვავებული მოვლენებია.

პუშკინისათვის წნეობრივი ან იდეოლოგიური პრეტენზიის წაყენება ისეთივე სიბრყვევა, როგორც მგლისა თუ ქორის ამორალობაზე ლაპარაკი. ისეთივე სისულელეა, როგორც მცდელობა მორალური ზნეობა მოვახდინოთ ქარიშხალზე, წყალდიდობასა თუ უდაბნოს პაპანაქებაზე. პუშკინი ქმნიდა, თუ შეიძლება ითქვას, ბუნებრივ რეჟიმში სიცოცხლისადმი სრული თანაგრძობობით, და ამგვარად ნებისმიერი მოსაზრების გამოხატვა შეეძლო. ამ დროს მისი პირადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები სრულიად არა-აქტუალურია. პუშკინის გმირები იშვიათად მსჯელობენ აბსტრაქტულად, და მაშინაც კი როცა ეს ხდება, მსჯელობის საგანი მაინც შემოქმედებით პროცესს ეხება, რისი მაგალითიცაა პუშკინის „მცირე ტრაგედია“ – „მოცარტი და სალიერი“.

პუშკინი არა პროფესიით, არამედ საკუთარი ფიზიოლოგიური წყობით იყო ხელოვანი. მისი შეგნება არტიტული პროცესის წარმართველ ბერკეტს წარმოადგენდა და ყოველივე, რასაც მისი ხელი ეხებოდა, ლიტერატურა ხდებოდა. ასეთი იყო მისი პირადი ცხოვრებაც – ბრწყინვალე ლიტერატურულ სიუჟეტში მოქცეული მრავალი დეტალი, რომელიც ტრაგიკული ფინალით დამთავრდა. ამრიგად, პუშკინის შემოქმედება წარმოადგენდა ლიტერატურაში ესთეტიზმის გამარჯვებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ქადაგებებსა და მორალისტობაზე. თუ ჩავთვლით, რომ რუსული ლიტერატურა პუშკინით იწყება, ეს ნამდვილად მრავლისმომასწავლებელი და ილბიანი დასაწყისი გახლდათ.

ახლა კი რუსული პროზის იმ ოთხი გიგანტის შემოქმედებას შევეხო, ვინც პუშკინის გაკვალულ გზას დაადგა. ვგულისხმობ ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენევისა და გოგოლს.

ოთხივე მათგანს უდიდესი პლასტიური ნიჭი გააჩნდა და თითოეული მათგანი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სულიერ რეგილიურ მოღვაწეობის სფეროებში ამა თუ იმ დონით საკუთარმა თავშეუპყრობელმა თვითგამოსახტვამ იმსხვერპლა.

ლევ ტოლსტოი ათამდე გენიალური ნიგნის ავტორი იყო. მოგვიანებით კი მან სრულიად უნაყოფო წნეობრივი მოძღვრება შექმნა, უარი თქვა საკუთარ ნაწარმოებებზე, დაწერა ათასობით წარმოდგენილად მოსაწყენი იგავი და თითქმის დეგენერატიული ტრაქტატები ხელოვნებაზე, ბალეტზე, შექსპირულ დრამებზე. ბოლოს იგი საშინელ წნეობრივ ტანჯვაში, ყველა პრობლემაზე პასუხგაუცემლად, რკინიგზის სადგურის მოსაცდელში მიტოვებული და ოჯახიდან გაქცეული გარდაიცვალა. საინტერესოა მისი „იასნაია პოლიანას“ სკოლის ბედიც. ტოლსტოიმ საკუთარ სოფელში გლუხთა შევიდვისათვის სკოლა გახსნა, რომელშიც თვითონვე ასწავლიდა. მას აღაფრთოვანებდა მონაფეების სხარტი გონება და უშუალობა. მწერალი ბავშვებს წნეობრივ პრინციპებს უწერავდა, რასაც მოგვიანებით მოყვა ის, რომ მათი უმეტესობა „წაროდნიკებად“, ლოთებად და გზაბნეულ ადამიანად ჩამოყალიბდა, ვისაც საკუთარ პედაგოგზე იშვიათად თუ დასცდებოდა რაიმე კარგი.

ხალხის მესხიერებაში ტოლსტოი დიდ შემოქმედებად დარჩა, მისი საზოგადო მოღვაწეობა კი, რომელიც მას საკუთარი ცხოვრების მთავარ საქმედ მიაჩნდა, აღარავის ახსოვს და მხოლოდ აკადემიური წრეების ინტერესად რჩება.

დოსტოევსკიმ ოთხი გენიალური რომანი შექმნა, მაგრამ საკუთარ საფურნალო-საზოგადოებრივ ასპარეზზე როგორც სლავიანოფილმა პუბლიცისტმა, თავი საშინელ რეაქციონერად და, რაც მთავარია, ძალიან მოსაწყენ ავტორად წარმოაჩინა. მისი უზომოდ განვლილი „მწერლის დღიური“ ახლოსაც ვერ მივა მისივე მხ-

ახალი პროექტი — „საკაცობრიო ჟანრი“



სომხური და ეკონომიკური კვლევის ბრიტანული საბჭო მუშაობას იწყებს ახალ პროექტზე, რომელიც გენეტიკისა და ბიოინფორმატიკის სფეროში კვლევის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ახალმა პროექტს უცნაური სახელწოდება აქვს — „საკაცობრიო ჟანრი“. დღესდღეობით სოციალური და ეკონომიკური კვლევის ბრიტანული საბჭოს ვებგვერდზე განთავსებულ ბაზაში 27 ნაწარმოებია.

მკვლევართა განცხადებით, ამ პროექტის შექმნის იდეა ნაკარნახევია ამერიკელი მწერლის, მაიკლ სუენუიქის ნაწარმოებით. ის „სამეცნიერო ფანტასტიკის პერიოდული ცხრილის“ ავტორად მოგვევლინა.

ვუდჰაუსის ურვეულ სკატჩები




2009 წლის 25 ივლისს ლონდონის წიგნის მალაზიაში — „ქაღალდი“ — პელამა გრენუილ ვუდჰაუსის (ავტორი წიგნების ციკლისა „ჯივსი და ვუსტერი“) ახლახან

ნაპოვნი ადრეული თხზულებების მხატვრული კითხვა გაიმართა. გაზეთი „გარდინი“ იტყობინება, რომ ეს ნაწარმოებები — სატირული ხასიათის სკეტჩები — პოლიტიკური ხასიათის პატარა პიესებია.

ოთხივე ტექსტი, რომელიც 1904-1907 წლებით თარიღდება, ლიტერატურათმცოდნე პოლ სფაირინგმა აღმოაჩინა. სკეტჩები ვუდჰაუსს თავის მეგობარ ბართრამ ფლეთცერ რობინსონთან ერთად დაუწერია და გაზეთ „დეილი ექსპრესსა“ და ყოველკვირეულ „ვენაითი ფარში“ დაუბეჭდავს.

პატარა პიესებში ავტორი, რომელიც იმ ხანად 20 წელზე ცოტა მეტი ხნისა იყო, საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური დებატების პაროდიას წარმოგვიდგენს. ის ოსტატურად აქილიკებს იმპორტულ საქონელზე დაწესებული ტარიფების რეფორმასა და გადასახადების რეფორმას.

უმსხვილესი ინტარნეტაბილიოთეკა



მსოფლიოში ერთ-ერთმა უმსხვილესმა წიგნების სავაჭრო ქსელმა — „ბარნს ენდ ნობლ“ — ელექტრონული წიგნების გაყიდვის საკუთარი ონლაინ მალაზია შესთავაზა მკითხველს.

ამჟამად კომპანიის ვებგვერდიდან უფასოდ ნახევარმილიონზე მეტი წიგნის ჩამოტვირთვა შესაძლებელია. ყველაფერი ეს კი „ბარნს ენდ ნობლსა“ და ინტერნეტის საძიებო სისტემა „გუგლს“ შორის გაფორმებული შეთანხმების წყალობით მოხდა.

„ბარნს ენდ ნობლი“ მილიონობით უკვე დაბეჭდილი წიგნის მფლობელია, თითქმის მილიონი დასახელების წიგნი ვებგვერდის საშუალებით შეგიძლიათ შეუკვეთოთ, ხოლო ამიერიდან უფასოდ ელექტრონული წიგნების ჩამოტვირთვის შესაძლებლობაც გეძლევათ.

„ჰარი პოტერის“ პარკი — მაღალი!!



როგორც „ტელეგრაფი“ იტყობინება, გაზაფხულზე ფლორიდის შტატში „ჰარი პოტერის“ პარკი გაიხსნება, რომელიც 80 ათას კვადრატულ მეტრს მოიცავს. ყველა ატრაქციონი და ნაგებობები ფილმისა და ჯოან როულინგის წიგნის მიხედვით აიწყობა.

მასშტაბურ პარკში აიგება ჰოგვარდის ციხე-სიმაგრე, გაშენდება აკრძალული ტყე და დაინიშნება ჰოგვარდის ექსპრესი. ჰოგვარდსში განთავსდება ატრაქციონი „ჯადოქრების სამყარო“, რომელიც ამერიკული მთების ფორმით შესრულდება. პარკში ასევე განთავსდება სოფელი ჰოგსმიდი რესტორნებითა და მალაზიებით, სადაც წარმოდგენილი იქნება ჯადოქართა სკოლის სიმბოლოები და ჰარი პოტერის ნივთები.

ნაპოპის დაუსრულავალი რომანი „ფლიპოიზი“

შურნალი „ფლიპოი“ იქნება პირველი, ვინც ვლადიმერ ნაბოკოვის დაუსრულებელი რომანიდან — „ლაურას ორიგინალი“ (სხვათა შორის, მწერალმა სიკვდილის წინ ამ რომანის განადგურება ითხოვა) — ნაწყვეტს გამოაქვეყნებს.

უცნობია, რა თანხა დაუჯდა შურნალს ნაბოკოვის ლიტერატურულ აგენტ ენდრიუ უაილთან დადებული გარიგება. თუმცა, „ფლიპოის“ ლიტერატურული რედაქტორის, ემი გრეის ლოდის, რომელმაც მწერლის ბოლო რომანის ფრაგმენტის დაბეჭდვის უფლება მოიპოვა, განცხადებით, ნაწყვეტისთვის, რომლის მოცულობაც



ნათას სიტყვას არ აღემატება, საფასური ჯერ არ გადაუხდიათ.


ლოიდის სიტყვების თანახმად, გარიგების ინიციატორი „ფლიპოის“ გამომცემელი და ვლადიმერ ნაბოკოვის შემოქმედების დიდი მოტრფიალე ჰიუ ჰეფნერი ყოფილა. „ფლიპოი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი ბრენდია. შურნალი 1953 წლიდან სხვადასხვა ენაზე გამოდის.

რომანი „ლაურას ორიგინალი“ ნაბოკოვის ბოლო და დაუსრულებელი რომანია. სიკვდილის წინ მწერალმა ცოლს ხელნაწერის განადგურება სთხოვა. როგორც თავად ნაბოკოვი ამბობდა, მას მოსვენებას არ აძლევდა იმაზე ფიქრიც კი, რომ მკითხველს არ შეეძლო ენახა ის, რაც მან გონებაში დაასრულა, მაგრამ ქალაქზე ვერ გადაიტანა.

თუმცა ნაბოკოვის ქვრივი სხვაგვარად მოიქცა, მან არ შეასრულა მეუღლის უკანასკნელი სურვილი და სიკვდილის წინ, 1991 წელს დაწერილ ანდერძში მწერლის დაუსრულებელი რომანის ბედი მათ ვაჟს, დიმიტრი ნაბოკოვს მიაწოდა.

დაუსრულებელი რომანი 50 თაბახის ფურცლისგან შედგება. ხელნაწერების მთავარი გმირი ზედმეტი ნონისგან დაკომპლექსებული და ამით შეწუხებული მეცნიერი ფილიპ უაილდია, რომელიც იმის გარდა, რომ გარეგნული იერიითაც ვერ დაიკვებინს, ოჯახშიც უბედურია.

აღმოჩენა ქაიროში



მშენებლებმა, რომლებიც ქაიროს ეგვიპტის მუზეუმის ბაღში მუშაობენ, აღმოაჩინეს სამალავი 9 არტეფაქტით. მათ რიცხვში აღმოჩნდა მსხვერპლშენიერის მაგიდა, იეროგლიფებიანი ქვები, სტელის ნაწილები და რამესიდებისდროინდელი სვეტების ფრაგმენტები წარწერითურთ.

ამგვარი სამალავები მუზეუმის ბაღში ორჯერ აღმოაჩინეს. 1952 წლამდე არქეოლოგები მიკვლევულ არტეფაქტებს გაურკვეველი წარმომავლობის სტატუსით ინახავდნენ, აკეთებდნენ სამეცნიერო აღწერილობას და თითოეულს აუცილებლად აფიქსირებდნენ მუზეუმის სამეცნიერო წიგნებში.

ბაღში მიმდინარე სამუშაოები დაკავშირებულია მუზეუმის გაფართოებასთან, რომელიც შენობის დასავლეთის მხარის შესასვლელის რეკონსტრუქციას ისახავს მიზნად.

ლიტერატურული გაზეთი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
შურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ჟურული
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com